



## ქალაქი დიჟონი, ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) ასი წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიება

83. 1

„ყველა საპატიო ტრიბუნიდან სიამაყით ვამბობ, რომ წარმოვადგენ საქართველოს, ღვინის სამშობლოს. ჩვენ მევენახეობა-მეღვინეობის 8 000 წლიანი უწყვეტი ისტორია გვაქვს, ის ჩვენი კულტურის და იდენტობის განუყოფელი ნაწილია; ამავე დროს, მევენახეობა-მეღვინეობა, მისი განვითარების ხელშეწყობა არის ჩვენი დღევანდელი დავა, ის ჩვენი ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგი და მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია“, - განაცხადა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგია ქალაქ დიჟონში გამართულ მინისტრიალზე, რომელიც ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) ასი წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიების ფარგლებში გაიმართა.

83. 3



ქობულეთში ციტრუსის მიმღებ-გადამამუშავებელი ახალი საწარმოს გახსნის ღონისძიებას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია პირველ ვიცე-პრემიერ ლევან დავითაშვილთან და აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძესთან ერთად დაესწრო

83. 3



საქართველოდან, ვიზინარა წელს, 53.2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების თხილის ექსპორტი განხორციელდა



## სიხლე პირველად საქართველოს საგანგებო სააგენტოს სიხლეში სააგენტოს პროგრამა „სურსათის უვნებლობა“

83. 6-7



## წარმატების ისტორიები!

83. 8-9

**83. 10**

**რთველი 2024**  
საქართველოში გადამამუშავებელია 320 ათას ტონამდე ყურძენი, რაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში რეკორდული მაჩვენებელია



**83. 12**

**უწყვეტი თვითმონიტორინგის სისტემაში 34 საწარმო რეგისტრირებული**



**83. 15**

**ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები**

სხალი ხაზი 1501



# ოთარ შამუგია საფრანგეთის ქალაქ დიჟონში გამართულ მინისტრიალზე სიტყვით გამოვიდა



„ყველა საპატიო ტრიბუნიდან სიამაყით ვამბობ, რომ წარმოვადგენ საქართველოს, ღვინის სამშობლოს. ჩვენ მევენახეობა-მეღვინეობის 8 000 წლიანი უწყვეტი ისტორია გვაქვს, ის ჩვენი კულტურის და იდენტობის განუყოფელი ნაწილია; ამავე დროს, მევენახეობა-მეღვინეობა, მისი განვითარების ხელშეწყობა არის ჩვენი დღევანდელი და, ის ჩვენი ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგი და მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია“, - განაცხადა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ ქალაქ დიჟონში გამართულ მინისტრიალზე, რომელიც ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) ასი წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიების ფარგლებში გაიმართა.

მინისტრიალს 30-მდე ქვეყნის მინისტრი და მაღალი რანგის წარმომადგენელი ესწრებოდა. როგორც ოთარ შამუგიამ განაცხადა, მაღალი ხარისხი და გამორჩეული საგემოვნო თვისებები ქართული ღვინის მთავარი სავიზიტო ბარათია. ბოლო წლებში გაფართოვდა საექსპორტო ბაზრების არეალი, რეკორდულ რაოდენობამდე გაზრდილია ღვინის ექსპორტი. მსოფლიოს 70-მდე ქვეყანაში 100 მლნ ლიტრამდე ქართული ხარისხიანი ღვინო იყიდება, რომელიც სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება და რომელზეც მოთხოვნა სულ უფრო მზარდია. ოთარ შამუგიამ სიტყვით გამოსვლისას ყურადღება გაამახვილა ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ თანამშრომლობა ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციასთან მომავალშიც ისეთივე პროდუქტიული და წარმატებული იქნება, როგორც ის იყო და არის დღეს და დაეხმარება ქართული ღვინის ინდუსტრიას კიდევ მეტად განვითარებაში, ქართული ხარისხიანი პროდუქციის მსოფლიო მასშტაბით პოპულარიზაციაში.

საქართველოსთვის, როგორც ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნისთვის, საერთაშორისო აღიარებას და წარმატებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) ასი წლისთავის აღსანიშნავად, მონაწილეებმა მიიღეს დეკლარაცია, რომელშიც ადასტურებენ საკუთარ ერთგულებას სამთავრობათაშორისო, სამეცნიერო და ტექნიკური ორგანიზაციისადმი, რომელსაც OIV წარმოადგენს და ხაზს უსვამენ ვაზისა და ღვინის სექტორის მნიშვნელობას.

**„დეკლარაციის მიღება ადასტურებს, რომ ვაზისა და ღვინის საერთაშორისო**

**ორგანიზაციასთან (OIV) ერთად, ჩვენ ვთანხმდებით დარგის ერთიანი და, ამავდროულად, არსებულ გამოწვევებზე საპასუხო ხედვით განვითარებაზე“, - აღნიშნა ოთარ შამუგიამ.**

ქართულ დელეგაციას დიჟონში, მინისტრთან ერთად, ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ლევან მეხუბლა და საქართველოს ელჩის მოვალეობის შემსრულებელი საფრანგეთის რესპუბლიკაში ეკატერინე კოკაია წარმოადგენდნენ.

აღსანიშნავია, რომ ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაცია(OIV) პარიზში 1924 წლის 29 ნოემბერს იტალიის, საფრანგეთის, ესპანეთის, ლუქსემბურგის, ტუნისის, უნგრეთის, საბერძნეთისა და პორტუგალიის ერთობლივი ხელშეკრულებით დაარსდა. ორგანიზაციის საქმიანობა მოიცავს წევრ ქვეყნებში ღვინის წარმოების და მეღვინეობის პრაქტიკის, მევენახეობის, კვების მრეწველობისთვის ყურძნის გადამამუშავების შესახებ რეკომენდაციების ფორმულირებას და სხვა საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების დახმარებას, ღვინის დარგში საერთაშორისო სტანდარტების შექმნასა და დაცვას. ამჟამად, ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) წევრია 50 ქვეყანა, ასევე, 18 დამკვირვებელი ორგანიზაცია და 500-ზე მეტი დარგის ექსპერტი.



სახელმწიფოს მხრიდან ბოლო წლებში განხორციელდა.

„ჩემთვის დიდი პატივია მინისტრთა კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლა, სადაც ჩვენ ვსაუბრობთ იმ ძალისხმევაზე, რაც კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში ტყეების მდგრად მართვასა და დაცვის უზრუნველყოფის მნიშვნელობას ეხება. ტყე ნამდვილად არის ღირებული რესურსი როგორც ახლანდელი, ასევე მომავალი თაობებისთვის.

საქართველოს წარსული გამოცდილება ტყეების მართვაში არ ემყარებოდა ტყეების მდგრადი მართვის პრინციპებს, რადგან დიდი იყო ტყეზე ზეწოლა. საქართველო ცვლის თავის მიდგომას ტყეების მიმართ და მიმართავს ძალისხმევას ამ უნიკალური რესურსის შენარჩუნებისთვის. ამას არაერთი რეფორმა უძღოდა წინ, მათ შორის ტყის კოდექსის მიღება, რომელიც სრულად შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს და უზრუნველყოფს საქართველოს ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვას, მისი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს საქართველოს მიენიჭა ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია ჩვენი ევროპული ინტეგრაციის გზაზე. როგორც კანდიდატი ქვეყანა, საქართველო მზადაა როგორც ტყის, ისე გარემოსდაცვითი პოლიტიკა ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანოს. ბოლო 10 წლის განმავლობაში ჩვენ აღვადგინეთ 5000 ჰა ტყის ფართობი, 440 000 ჰა ტყის ტერიტორია, რომელიც ჩვენი ტყეების 14%-ს მოიცავს დაცული ტერიტორიების ფარგლებშია და მაღალი დაცულობის ტყის სტატუსით სარგებლობს. საქართველო გამოთქვამს მზადყოფნას, გააძლიეროს ტყის მდგრადი მართვა და წვლილი შეიტანოს ევროკავშირის მწვანე შეთანხმების უფრო ფართო მიზნების განხორციელებაში“, - განაცხადა ნინო თანდილაშვილმა.

„ევროპის ტყეების“ (Forest Europe) რიგით მე-9 მინისტრიალის ფარგლებში მონაწილეებმა იმსჯელეს ევროპის ქვეყნებში არსებული ტყეების მართვის საკითხებზე კონკრეტული ქვეყნების გამოწვევებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

„ბოლო 10 წლის განმავლობაში ჩვენ აღვადგინეთ 5000 ჰა ტყის ფართობი, 440 000 ჰა ტყის ტერიტორია, რომელიც ჩვენი ტყეების 14%-ს მოიცავს, დაცული ტერიტორიების ფარგლებშია და მაღალი დაცულობის ტყის სტატუსით სარგებლობს“, - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილე ნინო თანდილაშვილმა ქალაქ ბონში, „ევროპის ტყეების“ (Forest Europe) რიგით მე-9 მინისტრიალზე

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილე ნინო თანდილაშვილმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ქალაქ ბონში, „ევროპის ტყეების“ (Forest Europe) რიგით მე-9 მინისტრიალში მიიღო მონაწილეობა. მინისტრიალს თავმჯდომარეობდა გერმანიის სოფლის მეურნეობისა და სურსათის ფედერალური მინისტრი და მასში მონაწილეობდნენ 46 ქვეყნის შესაბამისი სამინისტროების მაღალი რანგის პირები, ევროკომისიისა და სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები. სიტყვით გამოსვლისას ნინო თანდილაშვილმა იმ რეფორმებზე ისაუბრა, რომელიც



ოთარ შამუგია: „ინვესტიცია განსაკუთრებით მისასალმებელია სოფლის მეურნეობის გადამმუშავებელ სექტორში“



ქობულეთში ციტრუსის მიმღებ-გადამმუშავებელი ახალი საწარმოს გახსნის ღონისძიებას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია პირველ ვიცე-პრემიერ ლევან დავითაშვილთან და აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძესთან ერთად დაესწრო

როგორც ოთარ შამუგიამ აღნიშნა, ასეთი მასშტაბის პროექტების განხორციელება უმნიშვნელოვანესია აგრარული დარგის განვითარებისთვის.

„ქობულეთში ციტრუსის გადამმუშავებელი ახალი საწარმო სრულად არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით. განხორციელდა უცხოური ინვესტიცია, რაც განსაკუთრებით მისასალმებელია სოფლის მეურნეობის გადამმუშავებელ სექტორში. ყოველწლიურად რეგიონში 10-15 ათასი ტონა ციტრუსის

გადამუშავება ხდება. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია თანამედროვე საწარმოს ფუნქციონირება, რომელიც უზრუნველყოფს ფერმერებისგან ციტრუსის მიღებას და გადამმუშავებას, შემდგომ დაამზადებს კონცენტრირებულ წვეს, რომლის ექსპორტი განხორციელდება, მათ შორის, ევროკავშირის ბაზარზე, შესაბამისად, შეიქმნება დამატებითი



ღირებულება. ასეთი მასშტაბის პროექტები ჩვენი ქვეყნისთვის, სოფლის მეურნეობისთვის არის უმნიშვნელოვანესი. ჩვენ მივესალმებით და მაქსიმალურად მხარს დავუჭერთ ინვესტიციებს”, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

აღსანიშნავია, რომ ახალი საწარმო სარეალიზაციოდ მოამზადებს მანდარინს, ციტრუსის წვენის კონცენტრატს და პლასტმასის ყუთებს ხილის ტრანსპორტირებისთვის. კომპანიას ასევე აქვს

სამაცივრო მეურნეობა 3000 ტონამდე ცოცხალი ხილის და ბოსტნეულის შესანახად. კომპანია მზადაა, უკვე მიმდინარე წელს ადგილობრივი ფერმერებისგან შეისყიდოს მანდარინი და გადამუშავოს.

ქობულეთის საწარმოში ქართულ-სლოვაკური ინვესტიცია კომპანიამ „შპს იბერია ორბი“ განახორციელა. ამ ეტაპისთვის, 3,5 მლნ ევროზე მეტი დაინარჯა, თუმცა კომპანია დამატებითი ინვესტიციის განხორციელებას და ასორტიმენტის გაზრდას გეგმავს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ კაკვლიაშვილი: „სახელმწიფო მომავალშიც გააგრძელებს ქართული ჩაის ხელშეწყობას“

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ კაკვლიაშვილი მთაწმინდის პარკში გამართულ ქართული ჩაის ფესტივალს დაესწრო. ფესტივალი 2005 წლიდან იმართება და მისი მიზანი ქართული ჩაის პოპულარიზაცია და ჩაის მწარმოებლების მხარდაჭერაა.



მინისტრის მოადგილის განცხადებით, სახელმწიფო ქართული ჩაის მწარმოებლების ხელშეწყობად არაერთ პროგრამას ახორციელებს და ისინი მომავალშიც გაგრძელდება.

„ჩაის ფესტივალი კარგი პლატფორმაა იმისთვის, რომ ჩაის მწარმოებლებმა საკუთარი პროდუქციის პოპულარიზაცია მოახდინონ. ჩვენი ძირითადი ამოცანა ექსპორტის წახალისება და ახალი ბაზრების მოძიებაა; ამ მიმართულებაში

სახელმწიფო აქტიურადაა ჩართული. ქართული ჩაის ხელშეწყობად სახელმწიფო ჩაის რეაბილიტაციის პროგრამას ახორციელებს, რომლის ფარგლებშიც 1200 ჰა-ზე მეტი ჩაის პლანტაცია უკვე რეაბილიტირებულია; ამასთან ერთად, შესაბამისი ტექნიკითაც ვეხმარებით ფერმერებს”, - აღნიშნა

სოლომონ კაკვლიაშვილი.

ქართული ჩაის ფესტივალი ჩაის მწარმოებელთა ასოციაციის ორგანიზებით და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა. მასში მონაწილეობას ქართული ჩაის და თაფლის 20-მდე მწარმოებელი იღებდა. ჩაის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელის, თენგიზ სვანიძის თქმით, ქართული ჩაი ადგილობრივ ბაზარზე სულ უფრო პოპულარული ხდება და დღეს მას ბაზრის 25% უკავია.

„ქართული ჩაი, განსაკუთრებით ბოლო წლებში, ძალიან ხარისხიანი და კონკურენტუნარიანია; ხარისხით არცერთ უცხოურ ჩაის არ ჩამოუვარდება, ზოგ შემთხვევაში,

სჯობს კიდევ. ქართულ ჩაის დიდი პერსპექტივა აქვს ქართული ეკონომიკის განვითარებაში. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერა ამ მიმართულებით უდავოა; რამდენიმე წელია მიმდინარეობს ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარა დარგის განვითარებას”, - განაცხადა თენგიზ სვანიძემ.

ქართული ჩაის მწარმოებლები მსგავსი სახის ღონისძიებებს მიესალმებიან. მათი თქმით, ფესტივალი საშუალებას აძლევს მომხმარებლებთან პირდაპირი კომუნიკაცია დაამყარონ და ახალი პროდუქცია გააცნონ.



საქართველოდან, ვიღინარა ჩაის, 53.2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების თხილის ექსპორტი განხორციელდა

2024 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით პერიოდში, საქართველოდან ექსპორტირებული თხილის ღირებულება, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 5.1 მლნ აშშ დოლარით (11%-ით) გაიზარდა და 53.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

აღნიშნული რაოდენობა მოიცავს მიმდინარე წლის თხილის მოსავალსაც. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 1 აგვისტოდან 30 სექტემბრის ჩათვლით საქართველოდან ექსპორტირებული მიმდინარე

წლის თხილის მოსავლის ღირებულება 19.6 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 35%-ით მეტია.

აღნიშნულ პერიოდში ქართული თხილის ექსპორტი ძირითადად ხორციელდება ევროკავშირის ქვეყნებში - ესპანეთში (9.7 მლნ აშშ დოლარი), იტალიაში (5.4 მლნ აშშ დოლარი), გერმანიაში (3.8 მლნ აშშ დოლარი), საფრანგეთში (3.2 მლნ აშშ დოლარი), პოლონეთში (2.7 მლნ აშშ დოლარი).

მიმდინარე წელს ექსპორტირებული თხილის 89%-ს გარჩეული თხილი (თხილის გული) შეადგენს და მისი საექსპორტო ფასი დაახლოებით 130%-ით მეტია გაურჩეველი თხილის საექსპორტო ფასზე. გადამმუშავებული თხილის ექსპორტის ზრდა მიუთითებს არა მხოლოდ პროდუქციის ხარისხის ზრდაზე, არამედ ეკონომიკურ სარგებელზე, რაც გულისხმობს სამუშაო ძალის დასაქმების შესაძლებლობას და შემოსავლებს, რომელიც პირველადი პროდუქციის გადამმუშავების შედეგად მიიღება.

აღსანიშნავია, რომ თხილის წარმოების და ექსპორტის ზრდა სახელმწიფო მხარდაჭერით პროგრამების პირდაპირი შედეგია.

ორი წელია ხორციელდება თხილის მწარმოებელი ფერმერების მხარდაჭერი პროგრამა. მეთხილე ფერმერები,

რომლებსაც საკუთრებაში ან/და ფაქტობრივ მფლობელობაში აქვთ ბაღი, არანაკლებ 0.2 ჰა და არაუმეტეს 3 ჰა, სახელმწიფოსგან ჰექტარზე 500 ლარიან დახმარებას იღებენ. პროგრამით, მიმდინარე წელს, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 95 ათასამდე ფერმერმა ისარგებლა და, დაახლოებით, 21,5 მლნ ლარზე მეტი მიზნობრივი დახმარება მიიღო. თხილის კადასტრში დღეისათვის რეგისტრირებულია 45.000 ჰექტარზე მეტი თხილის ბაღი. ბაღებში აზიურ ფაროსანასთან ბრძოლა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს. მიმდინარე წელს თერმული ნისლით დამუშავებულია 213 750 ჰა ფართობი, ცივი შესხურების ტექნოლოგიით შეიწამლა 107 601 ჰა ფართობი, განთავსდა 7019 ერთეული ფერომონიანი დამჭერი და 153 584 ერთეული „მოიზიდ და გაანადგურე“ ფერომონი.



**„საქართველო გარემოსდაცვითი მმართველობისა და სტანდარტების გაუმჯობესების კუთხით მოწინავე კოზიციებზეა“, - გაროს ევროპის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელი მდივნის მოადგილე დიმიტრი მარიასინი**



**გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ქალაქ ბონში გამართული „ევროპის ტყეების“ მინისტრიალის ფარგლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილე ნინო თანდილაშვილმა პირისპირ შეხვედრა გამართა გაროს ევროპის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელი მდივნის მოადგილე დიმიტრი მარიასინთან.**

კუთხით ერთობლივი მუშაობა ხორციელდება; ასევე, აქტიურად მიდის თანამშრომლობა ისეთ საკითხებზე, როგორცაა ტყის მდგრადი მართვა, ბიომრავალფეროვნების დაცვა და სხვა გარემოსდაცვითი მიმართულებები.

შეხვედრაზე დიმიტრი მარიასინმა ხაზი გაუსვა საქართველოს მიერ სატყეო სექტორში არსებულ თვალსაჩინო პროგრესს და ყურადღება გაამახვილა საქართველოში ევროპულ სტანდარტებთან თანხვედრაში არსებულ რეფორმებზე, მათ შორის, ახალ ტყის კოდექსსა და ტყის ეროვნულ ინვენტარიზაციაზე.

აღინიშნა, რომ საქართველო გარემოსდაცვითი მმართველობისა და სტანდარტების გაუმჯობესების კუთხით მოწინავე კოზიციებზეა და გაროს ევროპის ეკონომიკური კომისია საქართველოსთან სამომავლოდ თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერებას გეგმავს.

შეხვედრაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტროსა და გაროს ევროპის ეკონომიკურ კომისიასთან არსებული თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. კერძოდ, ისაუბრეს ჰაერის დაცვის მიმართულებით მიმდინარე პროექტზე, რომლის ფარგლებშიც სამრეწველო სექტორიდან დაბინძურების შემცირების

**აზიის განვითარების ბანკთან (ADB) ერთად, შლამის მდგრადი მართვისა და ხელახალი გამოყენების სტრატეგიის შემუშავება იწყება**



**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აზიის განვითარების ბანკთან (ADB) ერთად, საქართველოში შლამის მდგრადი მართვისა და ხელახალი გამოყენების სტრატეგიის შემუშავებას იწყებს. პროექტს იტალიური კომპანია „IDROSTUDI SRL“ განახორციელებს და მასში საერთაშორისო ექსპერტები იქნებიან ჩართულები.**

განხორციელება. პროექტი 4 ძირითად ამოცანას მოიცავს: არსებული მდგომარეობის შესწავლა და ამის გათვალისწინებით შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა; საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით საკანონმდებლო ბაზის ფორმირება; სახელმწიფო და კერძო სექტორთან ერთად სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართვა და მათი გადამზადება და შერჩეულ მუნიციპალიტეტებში საპილოტე პროექტების შემუშავება.

აღნიშნული მიმართულებით არსებული გამოწვევები და პროექტის ძირითადი საკითხები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილმა აზიის განვითარების ბანკის და კომპანიის „IDROSTUDI SRL“ წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე განიხილა.

**„იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველოში იმატა შლამის რაოდენობამ და შეიქმნა ახალი გამწმენდი ნაგებობები, საჭიროა შლამის მართვის ღონისძიებების გატარება. ჩვენი ქვეყნისთვის შლამის მართვა და რეციკლირება სიახლეა და ამ მიმართულებით სახელმწიფო და კერძო სექტორის აქტიური ჩართულობა მნიშვნელოვანია“, - აღნიშნა სოლომონ პავლიაშვილმა.**

ერთწლიანი პროექტის მთავარი მიზანი საქართველოში შლამის მართვის გეგმის შემუშავება და საქართველოს პირობებზე მორგებული საპილოტე პროგრამის

დაცული ტერიტორიების სააგენტომ ახალი კამპანია „ოქროსფერი საქართველო“ წამოიწყო. კამპანია სააგენტოს facebook გვერდის „საქართველოს ეროვნული პარკები“ საშუალებით სხვადასხვა მიმართულებას გაგაცნობთ, რომელთა მონახულება წელიწადის ამ დროს განსაკუთრებული შთაბეჭდილებებით აგავსებთ.

წლის ყველაზე ფერადი სეზონი - შემოდგომა, სამოგზაუროდ განსაკუთრებულად კარგი პერიოდია. ზაფხულის ცხელი დღეებისგან განსხვავებით ტემპერატურა შედარებით დაბალია, რაც ფეხით მოგზაურობას გაცილებით სასიამოვნოს ხდის



**National Parks of Georgia / საქართველოს ეროვნული პარკები**  
138K likes • 144K followers

პარკი, აჯამეთის დაცული ტერიტორიები და სხვა.

საქართველოს ეროვნულ პარკებში შესაძლებელია მრავალფეროვანი სალაშქრო ტურების მოწყობა - აქ დაგხვდებათ სხვადასხვა სირთულის, რელიეფისა და სანახაობის მქონე მარკირებული ბილიკები, ტურისტული თავშესაფრები და საპიკნიკე ადგილები.

გამოგვევით „საქართველოს ეროვნული პარკების“ facebook გვერდზე და ჩვენთან ერთად იმოგზაურეთ ოქროსფერ საქართველოში დაუვიწყარი მოგონებების შესაქმნელად.





# გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, ბოტანიკურ ბაღში, მეცნიერების დღე აღინიშნა

მინისტრმა ოთარ შამუგიამ მეტყვევებს პროფესიული დღე მიულოცა და სატყეო სექტორის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა. ღონისძიებაზე გამოვლინდა წლის წარმატებული მეტყვევებიც, რომლებსაც განსაკუთრებულად რთული და რისკის შემცველი საქმიანობისთვის ჯილდოები და სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ. ღონისძიებაზე ვოდეორგოლის „მე მეტყვევ ვარ“ პრეზენტაცია გაიმართა.



**„თითოეულ მეტყვევს ვულოცავ პროფესიულ დღეს და განსაკუთრებულ მადლობას ვუხდის საქმიანობისთვის. მე ვიტყვი, რომ ეს არის საამაყო, საპატიო და, ამავდროულად, ძალიან საპასუხისმგებლო პროფესია. მნიშვნელოვანია, რომ მეტყვევებს ჰქონდეთ სათანადო შრომის პირობები, ღირსეული ანაზღაურება, შესაბამისი აღჭურვილობა. ჩვენ წლებია ამაზე ვბრუნავთ. ჩვენი დღის წესრიგის ნაწილია, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტად განვითარდეს ჩვენი სატყეო სააგენტოს შესაძლებლობები, მეტყვევებს ჰქონდეთ სოციალური გარანტიები, შესაბამისი ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა იმისთვის, რომ კიდევ უფრო ეფექტიანად შეძლონ საქმიანობის განხორციელება. კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ მეტყვევს, რომელიც კეთილსინდისიერად ემსახურება ჩვენს ქვეყანას“** - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე მაია ბითაძე. კომიტეტის თავმჯდომარე პროფესიული დღე მიულოცა მეტყვევებს და მადლობა გადაუხადა იმ რთული და სპეციფიკური საქმიანობისთვის, რასაც ტყეში მუშაობა ჰქვია. **„საქართველოს პარლამენტის ჩვენი კომიტეტის სახელით მინდა მხარდაჭერა გამოვუცხადო სამინისტროსა და სააგენტოს, თითოეულ მეტყვევს. ჩვენ მაქსიმალურად რაც შეგვიძლება, სამინისტროსთან ერთად, ყველაფერს გააკეთებთ იმისთვის, რომ**

**გაუმჯობესდეს სააგენტოს მუშაობის ხარისხი“**, - განაცხადა მაია ბითაძემ. მეტყვევებს პროფესიული დღე მიულოცა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, კახა კაკაბაძემ. მინისტრის მოადგილემ ქვეყნის უნიკალური რესურსის დაცვისთვის გაწეული შრომისთვის მადლობა გადაუხადა როგორც მეტყვევებს, ასევე, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გაწეული მხარდაჭერისთვის. მისივე განცხადებით, ყოველწლიურად იზრდება ტყის აღდგენის მასშტაბები, თუმცა, ჯერ კიდევ გამოწვევაა უკანონო ტყითსარგებლობა და ამ მიმართულებით ხდება როგორც ეროვნული სატყეო სააგენტოს, ისე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ტექნიკური და ადამიანური რესურსით გაძლიერება.



ღონისძიებაზე ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა კახა ცერცვაძემ საინფორმაციო კამპანიაში მუდმივი ჩართულობისთვის, საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები, სპორტსმენები, მსახიობები, მომღერლები და მედიის წარმომადგენლები დააჯილდოვა. მეტყვევის დღის აღსანიშნავ ღონისძიებას საკანონმდებლო ორგანოს, აკადემიური წრის, გარემოსდაცვითი არასამთავრობო და პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.





### გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია სტაჟირების სამთავრობო პროგრამის მონაწილეებს შეხვდა



„გილოცავთ პროგრამაში მონაწილეობას და მადლობას გიხდით არჩევანისთვის. ანაზღაურებად სტაჟირებასთან დაკავშირებული პრემიერ-მინისტრის ეს ინიციატივა, თქვენთან ერთად ათასობით კურსდამთავრებულს აძლევს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას. მოხარული ვარ, რომ სხვა საინტერესო პროფესიებთან ერთად, თქვენს შორის არიან ისეთი დეფიციტური პროფესიების წარმომადგენლები, როგორცაა გეოლოგია, ვეტერინარია,

სურსათის უვნებლობა, მევენახეობა-მელვინეობა. მინდა გითხრათ, რომ თქვენი მონდომების და სურვილის შესაბამისად, სტაჟირების დასრულების შემდეგ, მოგეცემათ სამინისტროსა და მის სტრუქტურებში დასაქმების უნიკალური შანსი და კარიერული წინსვლის შესაძლებლობა. თქვენ უნდა ემსახუროთ მომავალში ჩვენ ქვეყანას. მოტივირებულ ახალგაზრდებს აუცილებლად ექნებათ ჩვენი სრული მხარდაჭერა“, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

შეხვედრაში 50-მდე ახალგაზრდა მონაწილეობდა, რომლებიც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სამინისტროს სისტემაში შემავალ უწყებებში ოთხთვიან ანაზღაურებად სტაჟირებას სამთავრობო პროგრამის ფარგლებში გადიან.

შეხვედრაზე მინისტრმა სამინისტროს საქმიანობის შესახებ ისაუბრა და ყურადღება გარემოსდაცვითი და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამების მნიშვნელობაზე გაამახვილა.

ოთარ შამუგიამ აღნიშნა, რომ სამინისტრო აქტიურად მუშაობს საქართველოსა და

ევროკავშირის შორის არსებული ასოცირების და სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით აღებული ვალდებულებების შესრულების მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის ინიციატივით, 2024 წლის სექტემბრიდან, სამთავრობო პროგრამის ფარგლებში, ახალგაზრდები სახელმწიფო დაწესებულებებში ოთხთვიან ანაზღაურებად სტაჟირებას გაივლიან. კანდიდატთა შერჩევის დროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი სტუდენტის აკადემიური მოსწრებაა.



### სიახლე პირველად საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში სამაგისტრო პროგრამა „სურსათის უვნებლობა“

2024 წელს, აკრედიტაცია გაიარა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკრედიტაციის დეპარტამენტის და ბიოსისტემების ინჟინერიის ფაკულტეტის „სურსათის უვნებლობის“ სამაგისტრო პროგრამა. პროგრამის ხელმძღვანელია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის კოლიტივის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე, პროფესორი ქეთევან ლაფერაშვილი.

### თენგიზ კალანდიაძე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის კოლიტივის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.



ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერით და კანდიდატის სტატუსის მონიჭებით, საქართველოსა და ევროკავშირის საგაერო-ეკონომიკური ურთიერთობები თვისობრივად ახალ საფეხურზე გადავიდა, გაჩნდა ქართული საექსპორტო სასურსათო პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე შესვლისა და დამკვიდრების ახალი შესაძლებლობები, რისთვისაც აუცილებელი პირობაა სურსათის უვნებლობის სფეროში ქართული მარეგულირებელი სისტემის ევროკავშირის მარეგულირებელ სისტემასთან დაახლოება და ექვივალენტურობა.

ქვეყნის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში, დღეისათვის სურსათის უვნებლობის სფეროში მომუშავე პირები საბაზისო უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები არიან, რომელთაც უმაღლესი სწავლების პერიოდში შესაბამისი სწავლება სურსათის უვნებლობის სფეროში თანამედროვე მიდგომებთან დაკავშირებით არ გაუვლიათ. მხოლოდ უკანასკნელი რამდენიმე წელია, რაც ამ მიმართულებით ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში ინიცირებული იქნა შესაბამისი დისციპლინების სწავლება, სადაც ძალიან ზოგადად შეისწავლება სურსათის უვნებლობის „მინდვრიდან მაგიდამდე“ პრინციპები.

სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ჰყავდეს საერთაშორისო სტანდარტებზე და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე ორიენტირებული, კვალიფიციური კადრები,

რასაც სწორედ „სურსათის უვნებლობის“ სამაგისტრო პროგრამა ემსახურება.

სამაგისტრო პროგრამა შემუშავდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, პროფ. ქეთევან ლაფერაშვილის ინიციატივით და ხელმძღვანელობით.

ქ-ნი ქეთევანი სურსათის უვნებლობის კანონმდებლობაზე 2005 წლიდან მუშაობს.

მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით შემუშავებული 90-მდე ნორმატიული აქტი იქნა დამტკიცებული საქართველოს მთავრობის მიერ; გარდა სურსათის უვნებლობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტებისა, მის მიერ იქნა შემუშავებული სხვადასხვა კატეგორიის სურსათის მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები. ქ-ნი ქეთევანი აქტიურადაა ჩართული გეოგრაფიული აღნიშვნებითა და ადგილწარმოშობის დასახელებით დაცული სურსათის სპეციფიკაციების შემუშავებაში. მის მიერ მომზადდა ქვეყრის, როგორც გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული საქონლის სპეციფიკაციები. ამჟამად რეგისტრაციის პროცესს გადის მის მიერ მომზადებული „ტრადიციული რაჭული ლორის“ სპეციფიკაციები. მისი ავტორობით, ჯერ კიდევ 2009 წელს, გამოიცა საქართველოში პირველი სახელმძღვანელო „სურსათის უვნებლობა - მართვის თანამედროვე სისტემები“. იგი არის ავტორი ამ სფეროში რამდენიმე სახელმძღვანელოსი. 2018 წელს მისი ავტორობით გამოცემულ პროფესიულ სახელმძღვანელოს „სურსათის უვნებლობა“ აგრარულ დარგში წლის საუკეთესო საგანმანათლებლო ნაშრომისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჯილდო მიენიჭა. იგი არის სურსათის უვნებლობის სფეროში არაერთი სახელმძღვანელო მითითებების ავტორი, გამოქვეყნებული აქვს 74 სამეცნიერო ნაშრომი და პუბლიკაცია სურსათის უვნებლობისა და ხარისხის, სურსათის მიკრობიოლოგიის და ფორტიფიკაციის სფეროებში.

სწორედ დაგროვილი თეორიული, პრაქტიკული, სამეცნიერო, პედაგოგიური და საკანონმდებლო გამოცდილებამ და საჭიროებებზე ორიენტირებულმა ხედვამ

განაპირობა „სურსათის უვნებლობის“ სამაგისტრო პროგრამის ინიცირება და მომზადება, რომელიც მხარდაჭერილი იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიებისა და ბიოსისტემების ინჟინერიის ფაკულტეტის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიისა და პოტენციური დამსაქმებლების მიერ.

2021 წელს, პროექტის „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ ფარგლებში განხორციელდა „შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სპეციალისტის/მენეჯერების საჭიროებაზე სურსათის წარმოების ინდუსტრიაში“ რომელიც მომზადდა „PMO Business Consulting“-ის მიერ. აღნიშნული კვლევის თანახმად, სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მიმართულებით კვალიფიციური სპეციალისტების მოსამზადებლად მნიშვნელოვანია გატარდეს ქმედებები, რომელიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროგრამების ადაპტაციას შრომის ბაზრის საჭიროებებთან, გაზრდის სტუდენტთა დაინტერესებას და აღნიშნული სპეციალობებით დასაქმების შესაძლებლობებს, ხელს შეუწყობს კერძო სექტორსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის თანამშრომლობას კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების პროცესში.

იმედს ვიტოვებ, რომ სამაგისტრო პროგრამა „სურსათის უვნებლობა“ კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციის - „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“ სრულყოფილად განხორციელებისათვის, რომელსაც საქართველომ, გაეროს ყველა სხვა წევრ ქვეყანასთან ერთად დაუჭირა მხარი და გამოთქვა სურვილი, განხორციელებინა 2030 წლისთვის დასახული მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები, რომელთაგან მნიშვნელოვანია „შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა“ და „მდგრად სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა და ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის“.



**ილია კვიციანი**  
 საქართველოს ტექნიკური  
 უნივერსიტეტის აკადემიური  
 დეკანი და  
 ბიოსისტემების ინჟინერიის  
 ფაკულტეტის დეკანი, სასურსათო  
 ტექნოლოგიების დეპარტამენტის  
 პროფესორი, ბიოლოგიის  
 მეცნიერებათა დოქტორი,  
 აკადემიკოსი



მისასალმებელია ის ფაქტი, რომ წელს, პირველად, ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიებისა და ბიოსისტემების ინჟინერიის ფაკულტეტზე „სურსათის უვნებლობის“ სამაგისტრო პროგრამა ამოქმედდა.

FAO-ს მიერ, 2023 წელს გამოქვეყნებულ დოკუმენტში „სურსათის უვნებლობის სფეროში სტრატეგიული პრიორიტეტები 2022-2031“ კიდევ ერთხელ ხაზგასმით იქნა აღნიშნული, რომ „სურსათის უვნებლობა არ შეიძლება თავისით არსებობდეს, იგი ინტენსიური სამეცნიერო კვლევების და პოლიტიკის შემუშავების შედეგს წარმოადგენს“.

**დღეისათვის მავნე სურსათის მოხმარების გამო, ყოველწლიურად 600 მლნ-მდე ადამიანი ავადდება და 420 ათასამდე შემთხვევა ლეტალურად მთავრდება. სწორედ ამიტომ, სურსათის უვნებლობის**

**უზრუნველყოფისათვის აუცილებელია სურსათის წარმოების სრული ჯაჭვის ორგანიზაციული მართვა, რომლის საფუძველს რისკზე დაფუძნებული მიდგომა წარმოადგენს და მისი სრულყოფილად განხორციელებისათვის საჭირო ხდება სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინების შესწავლა.**

სწორედ ამ მიზანს ემსახურება „სურსათის უვნებლობის“ სამაგისტრო პროგრამა, რომელიც პროგრამის ხელმძღვანელის, პროფ. ქეთევან ლაფერაშვილის მიერ წარმოდგენილი პროგრამის საგნობრივი დატვირთვის შესაბამისად, სტუდენტს შეასწავლის სურსათის უვნებლობის თანამედროვე მიდგომებსა და სამეცნიერო პრინციპებს, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს ქვეყანაში სისტემური და სიღრმისეული ცოდნის მქონე მაღალი კვალიფიკაციის და კონკურენტუნარიანი სურსათის უვნებლობის მაგისტრის მომზადებას.

**ნინო ლომიძე**  
 საქართველოს ტექნიკური  
 უნივერსიტეტის აკადემიური  
 დეკანი და  
 ბიოსისტემების ინჟინერიის  
 ფაკულტეტის ხარისხის  
 უზრუნველყოფის სამსახურის  
 უფროსი, სოფ. ბაურნ.  
 მეცნიერებათა აკადემიური  
 დოქტორი, პროფესორი



სტუ-ში, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერიის ფაკულტეტზე, 2024 წლიდან ხორციელდება „სურსათის უვნებლობის“ მაგისტრატურის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა.

საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად მისანიჭებელი კვალიფიკაციაა „სურსათის უვნებლობის მაგისტრი“. პროგრამა სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 24 ნოემბრის N01-05-04/172 დადგენილებით იქნა დამტკიცებული, ამავე დადგენილებით საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად დამტკიცებული იქნა პროფესორი ქეთევან ლაფერაშვილი, რაც განსაკუთრებულად აღსანიშნავია.

**პროგრამის ძლიერი მხარეებია საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა მოთხოვნადობა შრომის ბაზარზე, დასაქმების ფართო სპექტრი, დარგში აღიარებული საგანმანათლებლო პროგრამის**

**განმახორციელებელი პერსონალი, საგანმანათლებლო პროგრამის შედგენისა და განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა, მჭიდრო კავშირი დამსაქმებლებთან და მათი რეკომენდაციების გათვალისწინება, სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით და ლაბორატორიული აღჭურვილობებით და სხვ.**

**აკრედიტაციის მიღებიდან სულ რამდენიმე თვეში პროგრამაზე სწავლის მსურველი იყო 36 კანდიდატი, საიდანაც შეირჩა 21. დღეის მდგომარეობით წარმატებით მიმდინარეობს სწავლება მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე „სურსათის უვნებლობა“.**

**მაია კილაძე**  
 საქართველოს ტექნიკური  
 უნივერსიტეტის აკადემიური  
 დეკანი და  
 ბიოსისტემების ინჟინერიის  
 ფაკულტეტის დეკანი,  
 მონაწილე სასწავლო დარგში,  
 ინჟინერიის მეცნიერებათა  
 აკადემიური დოქტორი,  
 პროფესორი



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიებისა და ბიოსისტემების ინჟინერიის ფაკულტეტის გუნდი, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ბევრ სიახლეს გეგმავს და

ახორციელებს. ერთ-ერთი ასეთი წარმატებული სიახლე, რომელიც ინიცირებული და მომზადებული იქნა პროფესორ ქეთევან ლაფერაშვილის მიერ, წარმოადგენს „სურსათის უვნებლობის“ სამაგისტრო პროგრამა, რომლის განხორციელება უკვე მიმდინარეობს 2024 -2025 სასწავლო წლიდან.

დღეისათვის ამ სპეციალობის შემოღების აქტუალურობას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 2023 სასწავლო წლისათვის, მსოფლიოს 40-ზე მეტი წამყვანი უნივერსიტეტი აცხადებდა მსგავს სამაგისტრო პროგრამებზე მიღებას.

**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „სურსათის უვნებლობა“ მომზადებულია მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილებისა და ჩვენს ქვეყანაში არსებული რეალობის გათვალისწინებით, რაც პროგრამას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. სასწავლო კურსები ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკას და კვლევით კომპონენტს.**

**ჩვენი პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის დასრულებისას გამოუმუშავებული ექნება ის უნარები, რაც ამ მიმართულებით დასაქმებისას დასჭირდება.**

ვიმედოვნებ, რომ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „სურსათის უვნებლობა“, რომელიც შემუშავებულია დარგში აღიარებული თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით და უცხოური საგანმანათლებლო პროგრამების ანალოგების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, უზრუნველყოფს სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მართვისათვის საჭირო კვალიფიციური კადრების მომზადებას.

**სამაგისტრო პროგრამა „სურსათის უვნებლობა“**

**სასწავლო პროცესი**





## ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გაშენებული მოცვის ბაღი

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის „აგროლია“ ძირითადი საქმიანობა მოცვის წარმოებაა. ჩვენ 15 ჰა ფართობზე გვაქვს გაშენებული მოცვის ბაღი, სადაც ძირითადად საქესპორტო პროდუქციას ვაწარმოებთ. მოცვის მოსავალი, ყოველწლიურად, დაახლოებით 70-80 ტონამდეა და ძალიან მაღალი ხარისხით გამოირჩევა. სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსებით ავაშენეთ შემნახველ-სამაცივრო საწარმო. გარდა ამისა, სააგენტოს პროგრამების

მხარდაჭერით გავაშენეთ მოცვის ბაღებიც“, - აღნიშნავს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის „აგროლია“ დირექტორი დავით ეხვია.

როგორც დავით ეხვია აცხადებს, რომ არა სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამები, საქმიანობის წამოწყება და განვითარება ძალიან გაუჭირდებოდათ. მისი თქმით, სახელმწიფო მხარდაჭერასთან ერთად, წარმატება ხარისხიანი პროდუქციის მოყვანით, სწორად გათვლილი მარკეტინგული გეგმითა და დაუღალავი შრომით მიიღწევა.

## ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგრულში აღდგენილი ჩაის პლანტაცი



„ჩვენი სოფელი გეგრული ჩაის წარმოებისათვის შესანიშნავი ადგილია. თუმცა, ბოლო 30 წლის განმავლობაში, აქ ჩაის ფაქტობრივად არავინ აწარმოებდა და აღარც ჩაის მეურნეობა არსებობდა. სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ ჩაის პლანტაციების აღდგენა. სოფლის განვითარების სააგენტომ გამოაცხადა ქართული ჩაის აღდგენა-რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა. ჩვენც დავინტერესდით და გავხდით ერთ-ერთი პირველი ბენეფიციარები. აღნიშნული

პროგრამით, ჯამში 21 ჰა ფართობზე მოვახდინეთ ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია. სახელმწიფო პროგრამების დახმარებით, მივიღეთ მანქანა-დანადგარებიც, რაც ჩაის გადამუშავებისათვის განსაკუთრებით გვჭირდებოდა“, - აღნიშნავს კომპანიის „ხავერდოვანი ჩაი“ დირექტორი კობა შევილაძე.

კომპანიის დირექტორის თქმით, მათი წარმოებული პროდუქცია, ჯერ-ჯერობით მცირე რაოდენობით, უკვე გავიდა ექსპორტზე ჩეხეთში, პოლონეთში, საფრანგეთსა და გერმანიაში.

## სახელმწიფო პროგრამების მხარდაჭერით ქართული ჩაი „გრინგოლდი“ შეიქმნა

„რამდენიმე წლის წინ, მეგობართან ერთად, ჩაის მიტოვებული პლანტაციის აღდგენა გადავწყვიტეთ. თავდაპირველად, ჩვენი ასაკის გამო, ამ იდეას სერიოზულად არავინ აღიქვამდა. ყოველთვის ვგრძნობდით, რომ ნატურალური პროდუქტის წარმოებით, კარგ საქმეს გავაკეთებდით. დღევანდელ შედეგს კი, სახელმწიფოს მხარდაჭერით, ჩვენი უდიდესი მოტივაციაა და საქმისადმი სიყვარულით მივაღწიეთ“, - აღნიშნავს ახალგაზრდა ფერმერი, კომპანია „გრინგოლდის“ დამფუძნებელი ნიკა სიორიძე.

მისი თქმით, სოფლის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. ჩაის პლანტაციების აღდგენა-რეაბილიტაციის პროგრამით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 25 ჰა ფართობზე ჩაის პლანტაციის აღდგენა, ხოლო შეღავათიანი აგროკრედიტის მეშვეობით, ჩაის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა გახდა შესაძლებელი.

კომპანია „გრინგოლდი“ აწარმოებს ეკოლოგიურად სუფთა, არომატულ და დახვეწილი გემოს ჩაის, რომელიც ხელით დაკრეფილი ორ-სამფოთლიანი ნაბი დუყებისაგან მზადდება. ჩაის გადამამუშავება ხდება კლასიკური ტექნოლოგიით და მისი ყველა ეტაპის სრულად დაცვით. პროდუქცია იყიდება როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე გადის ექსპორტზე ევროკავშირის ქვეყნებში.



საქართველოს მელიორაცია  
GEORGIAN AMELIORATION  
კახეთში, სოფელ კურდღელაურის ტერიტორიაზე მავისტრალური სარწყავი არხის მონაკვეთი გაიწმინდა



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციამ“ ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მოწესრიგების სამუშაოები განახორციელა.

სამუშაოები არხში წყლის შეუფერხებლად გადინებას შეუწყობს ხელს. შედეგად, თელავისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტების 13 სოფლის (შალაური, კისისხევი, ნასამხრალი, წინანდალი, კონდოლი, ქვემო ხოდაშენი, ბუშეთი, ვანთა, აკურა, კახიფარი, კალაური, ვაჩნაძიანი და შაშინი) დაახლოებით 1200 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდა.

სოფელ კურდღელაურის ტერიტორიაზე მცენარეებისა და ნატანი მასისგან მაგისტრალური არხის 1 კილომეტრამდე მონაკვეთი გაიწმინდა.



შინდისისა და ფხვინის ტერიტორიაზე წყალგამანაწილებელი არხების ჯამში 2,5 კილომეტრიანი მონაკვეთი გაიწმინდა



ქვეყნის მასშტაბით სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების ფარგლებში, შპს „საქართველოს მელიორაციამ“ შიდა ქართლში, გორის მუნიციპალიტეტში, ძლევიჯვარის სარწყავი არხის მოწესრიგების სამუშაოები დაასრულა.

წყალგამანაწილებელი არხების ჯამში 2,5 კილომეტრიანი მონაკვეთი გაიწმინდა.

ჩატარებული სამუშაოები არხში წყლის შეუფერხებლად გადინებას უზრუნველყოფს. შედეგად, შინდისისა და ფხვინის 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდა, რაც უხვი და ხარისხიანი მოსავლიანობის გაზრდას შეუწყობს ხელს.

სოფლების - შინდისისა და ფხვინის ტერიტორიაზე, ხე-ბუჩქნარისა და დანალექისაგან





## გაიცანი მეცნიერი

### გულნარი (ნანა) ჩხუთიაშვილი

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მარცვლოვანი კულტურების კვლევის სამსახურის მთავარი სპეციალისტი და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი



2000 წლიდან, ხორბლის სელექციის ეროვნული პროგრამის ფარგლებში, მჭიდროდ ვთანამშრომლობ საერთაშორისო ორგანიზაციებთან - ხორბლისა და სიმინდის გაუმჯობესების საერთაშორისო ცენტრთან (CIMMYT) და მშრალი რეგიონების სასოფლო-სამეურნეო კულტურათა კვლევის საერთაშორისო ცენტრთან (ICARDA), რომელთა საერთაშორისო სანერგების სასელექციო მასალებს ვამუშავებთ ადგილობრივ პირობებთან ადაპტირებული, დადებითი სამეურნეო ნიშან-თვისებების მქონე, დაავადებების მიმართ

„ოთხი ათეული წელი ვიმუშავე მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ლაბორანტის თანამდებობიდან ხორბლის სექტორის გამგის თანამდებობამდე სელექცია მეთესლეობის განხრით, შემდგომ აგრარულ უნივერსიტეტში უფროს მეცნიერ მუშაკად. დაარსების დღიდან ვმუშაობ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თავთავიანი კულტურების სამსახურში მთავარ სპეციალისტად.

იმუნური ჯიშების მისაღებად.“ ხორბლის სახეობათა მრავალფეროვნებით საქართველო უნიკალურია მთელს მსოფლიოში. საქართველოში ხორბლის მოშინაურებისა და მოყვანის ისტორია მრავალ ათას წელს ითვლის, რაც ისტორიულად და მეცნიერულად დასტურდება. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ აღდგენილ ჯიშებზე მოთხოვნაც ყოველდღიურად იზრდება.

ნანა ჩხუთიაშვილი: „მეამაყება, რომ ცენტრში ჩემი მუშაობის პერიოდში, ჩვენი გუნდის მიერ გამოყვანილი და დაპატენტებულია ახალი ჯიშები: ხორბლის 11, ტრიტიკალეს 1 და შერის 1 ჯიში. დღესთვის, აღდგენილი ჯიშების გავრცელება ფერმერულ მეურნეობებში აქტიურად მიმდინარეობს. ამ ეტაპზე, UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში ნომინაციაზე წარსადგენ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პროექტზე - „ქართული ხორბლის კულტურა - ტრადიციები და რიტუალები“ ვმუშაობთ, რომლის შესახებაც თებერვალში საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა.“

ქალბატონი ნანას ავტობიოგრაფია და თანავტობიოგრაფია 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომია გამოქვეყნებული. მათ შორის თანავტობიოგრაფია წიგნების „აგრარული ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი“ და „ხორბლის სელექცია საქართველოში“. ნანა ჩხუთიაშვილი:

„ცენტრი კავშირის სამეცნიერო, საგანმანათლებლო და ფერმერულ ორგანიზაციებს შორის ამყარებს. ფერმერებისათვის ხორბლის მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით ეწყობა სადემონსტრაციო ნაკვეთები და აქტიურად ვატარებთ ტრენინგებს. ხაზგასასმელია, ცენტრის მიერ ახალგაზრდებისა და სტუდენტების მხარდაჭერა, სადაც აქტიურად ვარ ჩართული, რათა ჩემი ცოდნა და გამოცდილება გავუზიარო დამწყებ მეხორბლე-ფერმერებს, ასევე ცენტრის ბაზებზე ვახორციელებთ სტუდენტების სამაგისტრო თემებისთვის ცდების მოწყობას. ახალგაზრდებს ვეცყოდი - გარანტირებული წარმატებისთვის იყავით მიზანდასახულები და გიყვარდეთ საქმე, რომელსაც აკეთებთ!“

## სოფიო ბერიძე გლაციოლოგი ქალი



თეთნულდიდან მწვერვალ შხარამდე. შემდეგ უნივერსიტეტში ავირჩიე ეს მიმართულება და მალევე გადავწყვიტე, რომ სამაგისტრო ნამუშევარსაც მყინვარებზე გავაკეთებდი. მოგვიანებით გარემოს ეროვნული სააგენტოს ჯგუფს, სტუდენტის რანგში, სავალე ექსპედიციაში გავყვები, სადაც ერთდერით გოგო ვიყავი. 16 დღე სავალე პირობებში სხვადასხვა მყინვარზე გავატარეთ. შემდგომში კი ამ გუნდის წევრი გავხდი.

ექსპედიციაში წასვლამდეც და მითუმეტეს დაბრუნების შემდეგ, ზუსტად ვიცოდი, რომ გლაციოლოგია ჩემი პროფესია გახდებოდა. სამაგისტრო ნაშრომი სვანეთის კავკასიონის მყინვარებზე მოვამზადე, სადოქტოროს კი ალპებისა და კავკასიონის მყინვარებზე ვაკეთებ. ძალიან საინტერესო პროცესები მიდის ამ თეთრი მასების ზედაპირებზე, მყინვარებში და სივრცეებში. მუდმივი მოძრაობა, დინამიკა და ხმაური.“

### გლაციოლოგიის ისტორია და განვითარება

გლაციოლოგიას, როგორც მეცნიერებას საფუძველი 1779-1796 წწ. ჩაეყარა, როდესაც შვეიცარიელი მეცნიერის და ალპინისტის ორას ბენედიქტ დე სოსიურის ნაშრომი „ალპებში მოგზაურობა“ გამოქვეყნდა. XX საუკუნეში გლაციოლოგია უფრო ღრმა მეცნიერული დისციპლინა გახდა; დაიწყო სქემატური რუკების შედგენა და მყინვარების მოძრაობის გაზომვა.

XX საუკუნის 20-იან წლებიდან კავკასიონის თანამედროვე და ძველი მყინვარების კვლევა იწყება; მყინვარწვერზე და იალბუზზე მაღალმთიანი მეტეოროლოგიური სადგურები აშენდა. 1911 წელს, მსხვილმასშტაბიანი სამხედრო ტოპოგრაფიული რუკების საფუძველზე, აღინუსხა კავკასიონის ყველა მყინვარი და შეიქმნა კატალოგი. 1930-იან

წლებში კავკასიონის ძველი და თანამედროვე მყინვარების თანმიმდევრული შესწავლა დაიწყო.

XXI საუკუნეში გლაციოლოგია უკვე მნიშვნელოვან როლს თამაშობს კლიმატური ცვლილებების კვლევებში. დროსთან ერთად განვითარდა სატელიტური ტექნოლოგიები, ლაზერული სკანირებები, სხვადასხვა პროგრამული ენები თუ მათემატიკური მოდელები. ყოველწლიურად გლაციოლოგიური ექსპედიციები ეწყობა და სხვადასხვა პროგრამების მეშვეობით მონაცემთა ანალიზი ხორციელდება.

„თანამედროვე რეალობაში მყინვარული პროცესების შესწავლა გლობალურ და რეგიონალურ დონეზე დიდ მნიშვნელობას იძენს. მთელს მსოფლიოში, სტიქიური მოვლენების მხრივ, მთავარ გამოწვევად დროული რეაგირება, ადრეული გაფრთხილების სისტემების გამართვა და მყინვარული პროცესების „სწორად წაკითხვა“ რჩება. ფაქტია, რომ ცვლილებას განიცდის როგორც თავად მყინვარული სხეული, ასევე, ყინულის დნობის შემდეგ გამოშვებული კლდეები. ტემპერატურული ამპლიტუდების ფონზე აქტიურად იფიქტება ქანები, რაც დამატებითი პრობლემაა. საქართველოში უმეტესად ხეობის რთული ტიპის მყინვარებია, ასევე ბევრია დაკიდებული ტიპის მყინვარი, რაც კიდევ უფრო ართულებს მონიტორინგს.

მიუხედავად ტექნოლოგიების წამოწევისა, ადამიანისთვის მაინც რთულია ბუნებრივი მოვლენების ზუსტი პროგნოზირება. ენდოგენური და ეგზოგენური პროცესების შედეგად რელიეფი მუდმივად განიცდის ცვლილებას, რასაც მიყურადება სჭირდება.“

### პროფესიული სირთულეები და გამოწვევები

„გლაციოლოგიას, როგორც პროფესიას, საკმაოდ ბევრი გამოწვევა აქვს, პასუხისმგებლობაც მაღალია, მუდმივ სიფხიბლეს და პროცესში ჩართულობას მოითხოვს. სამწუხაროდ, სტიქიური მოვლენებიც ხშირდება. თუ კარგად გავიანბნებთ, რომ ყველა ერთ საერთო საქმეს ვაკეთებთ, რასაც გარემოს დაცვა და მაღალმთიანი მოსახლეობის უსაფრთხოებაზე ზრუნვა ჰქვია, ყველაფერი უფრო დიდ მნიშვნელობას შეიძენს. ასეთ დროს კი სირთულეები შედარებით მარტივი



გადასალახია. გლაციოლოგია თანდათან უფრო მკაფიოდ და პირდაპირ უკავშირდება ისეთ თემებს, როგორიცაა მდგრადი განვითარება და უსაფრთხოება.

გარემოს ეროვნული სააგენტო წლებია თანამშრომლობს დარგის წამყვან ქვეყნებთან, როგორებიცაა შვეიცარია, ნორვეგია, იტალია და სხვა. ძირითადი პრობლემა ყველასთვის ერთია - კლიმატის ცვლილება, არა მხოლოდ მზარდი ტემპერატურის მიმართულებით, როგორც ეს ბევრს მიაჩნია, არამედ მისი ცვალებადი, პულსაციური ხასიათი, ძნელად პროგნოზირებადი, მკვეთრი და ექსტრემალური გამოხატვა. მაღალმთიანეთის ქვეყნებს თუნდაც ინფრასტრუქტურის, დარგობრივი ცოდნისა და ტექნოლოგიების კუთხით მეტი გამოცდილება აქვთ; მათგან ჩვენ ძალიან ბევრს ვსწავლობთ.“

მყინვარებს დედამიწაზე ხმელეთის ფართობის დაახლოებით 11% უკავია და ისინი დედამიწის გეოგრაფიული გარსის უნიკალური ნაწილია. საქართველოში მყინვარები ძირითადად მდინარეების ენგურის, რიონის, კოდორის და თერგის აუზებშია თავმოყრილი, სადაც 3500 მეტრზე მაღალი მწვერვალები მდებარეობს. მათი საერთო რაოდენობის 35.9 % და ფართობის 62.8 % მდინარე ენგურის აუზს მიეკუთვნება.

მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის კლიმატის გრძელვადიანი პროგნოზის თანახმად, მიმდინარე და მომდევნო წლებში მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის ტემპერატურის მატება, რაც მყინვარებზე უარყოფითი პროცესების გამწვავებას შეუწყობს ხელს. მყინვარულ ხეობებში საფრთხეების ზრდის ტენდენციის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი ხდება გლაციოლოგიური მიმართულების მეტად განვითარება, თუმცა გლაციოლოგია დღეს საქართველოში საკმაოდ იშვიათ პროფესიას წარმოადგენს.

გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტი სოფიო ბერიძე ახალი თაობის გლაციოლოგია, რომელიც ამ მიმართულებით სადოქტორო კურსს მილანის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში გადის.

„სიტყვა გლაციოლოგია პირველად სახლში, წიგნის ყდაზე ამოვიკითხე. გარეკანზე მყინვარი ბუბა მოჩანდა, რაჭის კავკასიონიდან. შიდა მხარეს ჰიმალაისა და სვალბარდის მყინვარები, ბოლოსკენ კი კავკასიონი, მწვერვალი





# ქართული ღვინის პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე



**გერმანელი ღვინის პროფესიონალების ვიზიტი**

**3-8 სექტემბერს, საქართველოს გერმანელი ღვინის ჟურნალისტები, ბლოგერები და სომელიეები სტუმრობდნენ.**

სტუმრები ქართულსა და კახეთში ქართული ღვინის მწარმოებელ 10-ზე მეტ კომპანიასა და მარანს ეწვივნენ, დააგემოვნეს სხვადასხვა სტილის ქართული ღვინო. ჯგუფის



შემადგენლობაში ცნობილი ინფლუენსერი და სომელიე ტონი ასკიტისი (Toni Askitis) იყო, რომელიც საკუთარ პოპულარულ არხზე #Asktoni ღვინის სფეროს სიახლეებს და ტენდენციებს გადმოსცემს.



**ქართული ღვინის წარდგენა კორეის რესპუბლიკაში**

**24 სექტემბერს ქალაქ სეულში ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა გაიმართა.**

ღონისძიება მოიცავდა პროფესიულ მასტერკლასს და პრეზენტაციას 300 მოწვეული სტუმრისთვის, რომელთა შორის მეღვინეობის დარგის ექსპერტები, სომელიეები, ბაიერები, მედიის წარმომადგენლები და ინფლუენსერები იყვნენ.



დეგუსტაციაზე წარმოდგენილი იყო 15-მდე ქართული ღვინის მწარმოებლის 40 სხვადასხვა დასახელების ღვინო. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ქართული ღვინისა და კორეული სამზარეულოს შეხამების მასტერკლასი.



**ქართული ღვინის კამპანია ამერიკის შეერთებული შტატებში**

**აშშ-ში ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზარს წარმოადგენს, სადაც 2013 წლის შემდეგ, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით განხორციელებულმა ღონისძიებებმა, ხელი შეუწყო აშშ-ში ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდას**

სექტემბერ-ოქტომბერში აშშ-ს ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის აქტიური კამპანია მიმდინარეობდა:

16-18 სექტემბერს, პრესტიჟული ამერიკული ღვინის გამოცემის „Wine Enthusiast“ ერთ-ერთი რედაქტორი და სადეგუსტაციო კომისიის წარმომადგენლის ემილი სალადინო (Emily Saladino) ეწვია საქართველოს. ვიზიტის ფარგლებში მან ჩაატარა ქართული ღვინის ბრმა დეგუსტაცია და Wine Enthusiast-ის 100 ქულიანი შეფასების სისტემის მიხედვით შეაფასა წარდგენილი ღვინოები, ასევე ეწვია კახეთის რეგიონს. დეგუსტაციაზე წარდგენილი ღვინოების შეფასებები გამოქვეყნდება Wine Enthusiast-ის გვერდზე.

7-13 სექტემბერს, საქართველოში ამერიკელი ღვინის პროფესიონალების



ტური ჩატარდა. 12-კაციანი ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ ღვინით ვაჭრობის სფეროს და „Colangelo&Partners“-ის წარმომადგენლები. ტურის ფარგლებში, ღვინის პროფესიონალები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს კახეთსა და ქართლში ესტუმრნენ, სადაც ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგიას გაეცნენ, ადგილზე დააგემოვნეს როგორც კლასიკური, ასევე ტრადიციული მეთოდით დამზადებული ქართული ღვინოები.

15-20 სექტემბერს, საქართველოში ამერიკელი ღვინის ჟურნალისტების პრესტური ჩატარდა. ტურის ფარგლებში, ღვინის პროფესიონალები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს კახეთსა და ქართლში ესტუმრნენ, სადაც ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგიას გაეცნენ, ადგილზე დააგემოვნეს როგორც კლასიკური, ასევე ტრადიციული მეთოდით



დამზადებული ქართული ღვინოები.

23 სექტემბერიდან, 2 კვირის განმავლობაში, ქალაქ ნიუ-იორკში, მანჰეტენზე, აუტდორ კამპანიის ფარგლებში, ე.წ. 25 ლაითბოქსზე განთავსებულია ქართული ღვინის სარეკლამო ბანერები.

26 სექტემბერს, ქალაქ ნიუ-იორკში ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა „გრანდ თეისტინგი“ ღვინის პროფესიონალების, მედიის და კომერციული სექტორის წარმომადგენლებისთვის გაიმართა. ქართული ღვინის მასშტაბურ წარდგენას 400-მდე ღვინის პროფესიონალი, მედიის და კომერციული სექტორის წარმომადგენელი დაესწრო. ღონისძიება მოიცავდა დეგუსტაციასა და მასტერკლასს, სადაც სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ,

დაეგემოვნებინათ 30-მდე ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიის სხვადასხვა დასახელების ღვინო.

ოქტომბრისა და ნოემბრის თვეებში, ქართული ღვინის სარეკლამო კამპანიას ადგილი პრესტიჟულ გამოცემაში „New York Times“ დაეთმო. New York Times-ის ოფიციალურ გვერდზე განთავსდება ე.წ. ბლოგბანერი და ნებისმიერ მომხმარებელს, რომელიც ესტუმრება საიტს სარეკლამო ველში გამოუჩნდება ქართული ღვინის სარეკლამო ბანერების სლაიდშოუ. აღნიშნული გამოცემის საშუალო ნახვა კვირის განმავლობაში 100 მლნ მომხმარებელს აჭარბებს.

მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერში, საქართველოდან აშშ-ში ექსპორტირებულია 1 მილიონ ლიტრამდე ღვინო, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 66%-ით აღემატება



**2024 წლის რთველში გადამუშავებულია 320 ათას ტონამდე ყურძენი, რაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში რეკორდული მაჩვენებელია.**

**ქვეყნის მასშტაბით გადამუშავებული ყურძნიდან 288 ათას ტონამდე კახეთის, 1,7 ათას ტონამდე რაჭის, 1,1 ათასი ტონა ლეჩხუმის ხოლო დანარჩენი საქართველოს მევენახეობის სხვადასხვა რეგიონის მოსავალია. ყურძნის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი 400 მლნ ლარს აჭარბებს,**

**ამ ეტაპისთვის მოსავალი 21 ათასამდე მევენახე დააბინავა.**

ამ დრომდე რთველის პროცესში ჯამურად 600-მდე ღვინის კომპანია და მარანი იყო ჩართული.

გადამუშავებული ყურძნიდან:

- ✦ რქაწითელი - 136 ათას ტ.
- ✦ საფერავი - 130 ათას ტ.;
- ✦ ალექსანდრეულ/მუჯურეთულია - 1,7 ათასი ტ.
- ✦ ცოლიკაური, ცაგერი - 753 ტ.

დანარჩენი სხვა ჯიშების ყურძენია.

მევენახე ფერმერების მიერ მოსავლის

რეალიზაციის ხელშეწყობის, ყურძნის ხარისხის შენარჩუნებისა და მეღვინეობის დარგის სტაბილური განვითარების მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს მთავრობამ რთველის სუბსიდირება განახორციელა:

კახეთის რეგიონში სახელმწიფო სუბსიდია მიიღო ყველა იმ კომპანიამ, რომელმაც 1 კგ რქაწითელში მევენახეს არანაკლებ 1.00 ლარი გადაუხადა. ასევე, 13 სექტემბრიდან, შპს „მოსავლის მართვის კომპანია“ მევენახე ფერმერებისგან 1 კგ საფერავის ჯიშის ყურძენი 1.50 ლარად ჩაიბარა.

რაჭის რეგიონში, სუბსიდია მიიღო ყველა იმ კომპანიამ, რომელმაც ხვანჭკარას მიკროზონაში მოწვეული 1 კგ ალექსანდრეულისა და მუჯურეთულის ჯიშის ყურძენში მევენახეს გადაუხადა არანაკლებ 8 ლარი. 1 კგ ალექსანდრეულისა და 1 კგ მუჯურეთულის შესყიდვის სანაცვლოდ, კომპანიებზე 4 ლარის ოდენობის სახელმწიფო სუბსიდია გაიცა.


საკოორდინაციო შტაბის ორგანიზებით, 23-24 აგვისტოს კახეთის რეგიონში მოსული

ძლიერი სეტყვისა და ქარისგან დაზიანებული ყურძნის ჩაბარება შპს „მოსავლის მართვის კომპანია“ ოპერატიულად, სტიქიის მეორე დღიდანვე დაიწყო. ყვარლის, თელავის და ახმეტის მუნიციპალიტეტებში დასეტყვილ ყურძენს კომპანია თელავის და ყვარლის მუნიციპალიტეტებში იბარებდა. მევენახეებმა დაზიანებული, არაკონდიციური 1 კგ ყურძენი 1.00 ლარად ჩააბარეს. სულ გადამუშავდა 1800 ტონამდე დასეტყვილი ყურძენი.

რთველის პერიოდში, ღვინის ეროვნულმა სააგენტომ 100-მდე ახალგაზრდა ღვინის საწარმოებში ოპერატორის პოზიციაზე დაასაქმა. შერჩეულ კანდიდატებს სპეციალური ტრენინგები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტებმა რთველის საკოორდინაციო შტაბში ჩაუტარეს. რთველის აღრიცხვის პროგრამა ქვეყანაში 2013 წლიდან მუშაობს. პროგრამა უზრუნველყოფს ჩაბარებული ყურძნის შესახებ სრული და დაზუსტებული მონაცემების შეგროვებას, რაც მაღალი ხარისხის ღვინის წარმოების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.



# ეროვნულ აგროარული ოლიმპიადა 2024-ში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაციის დაიწყო



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პატრონაჟით და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით, რიგით მეოთხე ეროვნული აგროარული ოლიმპიადა იწყება.

აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ასოციაციის (ADA) მიერ შემუშავებულ ეროვნული აგროარული ოლიმპიადის უნიკალურ კონცეფციას ანალოგი არ აქვს და ის წარმოადგენს აგროარულ სფეროში ყველაზე მასშტაბურ პროექტს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ რეგიონში.

აგროარული ოლიმპიადის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ მოსწავლეები, სტუდენტები, სპეციალისტები და ფერმერები.

## აგროარული ოლიმპიადის მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაციის დაიწყო 10 თებერვალს და 10 ნოემბრამდე გაგრძელდება.

რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია ვებგვერდზე, სადაც ონლაინ სავარჯიშო ტესტების გარდა, ხელმისაწვდომია უფასო ბიბლიოთეკა ყველა საჭირო ლიტერატურითა და სხვა დამხმარე რესურსით. ოლიმპიადის შესახებ დეტალურ ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ ეროვნული აგროარული ოლიმპიადის ოფიციალურ ვებგვერდზე <https://agoolimpiada.ge/> და Facebook-ის გვერდზე [www.facebook.com/NAOGEORGIA](http://www.facebook.com/NAOGEORGIA)

## ეროვნული აგროარული ოლიმპიადა 2024, გასული წლების მსგავსად, ჩატარდება სამ ეტაპად:

- I ეტაპი - აგროოლიმპიადის დაწყება და მონაწილეთა რეგისტრაცია (ოქტომბერი-ნოემბრის დასაწყისი);
- II ეტაპი - ონლაინ ტესტირება (ნოემბრის პირველ ნახევარში); ეს არის მონაწილეთა პირველი ტესტირება, რომელიც დისტანციურ რეჟიმში ონლაინ პლატფორმაზე ხორციელდება. პირველი ტურის ტესტირების შედეგად, ყოველი სამიზნე ჯგუფიდან თითოეულ ნომინაციაში გამოვლენილი 10 საუკეთესო მონაწილე, მეორე ეტაპზე გადავა.
- III ეტაპი - ტესტირება და გამარჯვებულების გამოვლენა (ნოემბრის მეორე ნახევარი). ამ ეტაპზე, პირველი ტურის შედეგად შერჩეულ მონაწილეებს ტესტირება უკვე არა დისტანციურად, არამედ კონკრეტულ ლოკაციებზე მატერიალური ტესტებით ჩატარდება. ტესტირების შედეგად გამოვლენილი თითოეულ სპეციალობასა და ნომინაციაში 3 გამარჯვებული (პირველი, მეორე, მესამე ადგილი).

ეროვნული აგროარული ოლიმპიადის გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონია 2024 წლის ნოემბრის ბოლოს ან დეკემბრის დასაწყისში გაიმართება. ყოველ წელს, დაჯილდოების ღონისძიებას ესწრებიან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირები, ოლიმპიადის სპონსორი და პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლები, რომლებიც გამარჯვებულებს პირადად გადასცემენ პრიზებს.

2021 წლიდან, ეროვნული აგროარული ოლიმპიადის უცვლელი პარტნიორია

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. როგორც ცენტრის დირექტორი თამარ ალადაშვილი აღნიშნავს, მსგავსი ფორმატის პროექტები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საზოგადოებაში აგროარული და გარემოსდაცვითი მიმართულებით ინფორმაციის, ცოდნის გავრცელებას და დადებითი ზეგავლენა აქვს შესაბამისი პროფილის საგანმანათლებლო სფეროს პოპულარიზაციისა და განვითარების პროცესებზე.

**„სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია, ახალგაზრდების აგროარულ სექტორში ჩართვის წახალისება, აგროარული და გარემოსდაცვითი სპეციალობების პოპულარიზაცია, ეს იმ მიზნების მცირე ჩამონათვალია, რასაც ეროვნული აგროარული ოლიმპიადის ისახავს მიზნად. ჩვენი კიდევ ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტია კონკურსი „აგროლიგა“, უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეებისათვის. კონკურსი ტარდება სოფლის მეურნეობის სპეციალობებსა და გარემოსდაცვით ისეთ აქტუალურ დარგებში, როგორცაა და ეკოლოგია და ბიომრავალფეროვნება. მსგავსი ფორმატის პროექტები, აქტიურად უწყობს ხელს ახალგაზრდების მოტივაციას და დაინტერესებას სოფლის მეურნეობის და გარემოსდაცვითი დეფიციტური პროფესიებით, რაც ასე სჭირდება ქვეყანას და უმარტივებს სტუდენტებს პროფესიის შეცნობაში. აღნიშნული პროექტების წარმატება და პროგრესი წარმოაჩენს, რომ ასეთი კონკურსები სრულად შეესაბამება სამიზნე ჯგუფების ინტერესებს და არსებობს კონკურსების დინამიური განვითარების პოტენციალი საქართველოში. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი აქტიურად აგრძელებს როგორც ეროვნული აგროარული ოლიმპიადის მხარდაჭერას, ასევე სხვა არაერთი მიზნობრივი პროექტის შემუშავება-განხორციელებას, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს აგროარული სექტორის განვითარებას“, - აცხადებს თამარ ალადაშვილი.**

ეროვნული აგროარული ოლიმპიადის საქართველოში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პატრონაჟით და FAO-ს და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის

(ADC) ორგანიზებით ქვეყანაში 2021 წლიდან ტარდება. ოლიმპიადის აგროარულ დარგებში ცოდნის დემონსტრირებაზე დაფუძნებული კონკურსია, რომელიც სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პრიორიტეტულ სპეციალობებში ტარდება.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის ეროვნული აგროარული ოლიმპიადის უკვე ჩამოყალიბდა ყველაზე მასშტაბურ პროექტად საქართველოს აგროარულ სფეროში.

ოლიმპიადის მთავარი იდეაა ტესტირებით მონაწილეთა ცოდნის შემოწმება, გამარჯვებულების გამოვლენა და მათი წარმოჩენა ეროვნულ დონეზე. შესაბამისად, პროექტის ძირითადი მიზნებია:

- მაღალი კომპეტენციის მქონე სპეციალისტების და წარმატებული სტუდენტების წარმოჩენა და პოპულარიზაცია;
- აგროარულ სპეციალობებში ცოდნის გავრცელების ხელშეწყობა;
- აგროარული განათლების და გარემოსდაცვითი სფეროების პოპულარიზაცია;
- კოორდინაციის გაძლიერება დასაქმების სექტორს, საგანმანათლებლო სექტორს და სპეციალისტებს შორის;
- გარემოსდაცვითი დარგების პოპულარიზაცია სკოლის ასაკის ახალგაზრდებში.

გარდა ამისა, პროექტი ხელს უწყობს საქართველოში აგროარულ სპეციალობებში ცოდნის ხარისხის შემოწმების არაფორმალური მექანიზმის დამკვიდრებას. ცოდნის შემოწმების დამოუკიდებელი მექანიზმის არსებობა თანაბრად მნიშვნელოვანი და საჭიროა როგორც თავად სპეციალისტებისა და სტუდენტებისთვის, ასევე დასაქმების სექტორისა და საგანმანათლებლო სფეროსთვის.

სტუდენტებს ოლიმპიადის საშუალებას აძლევს შეაფასონ რამდენად შესაბამისობაშია მათ მიერ კონკრეტულ უმაღლეს თუ პროფესიულ სასწავლებელში მიღებული ცოდნა თანამედროვე დასაქმების სექტორის მოთხოვნებთან, ხოლო სპეციალისტებს შესაძლებლობა ეძლევათ მოახდინონ საკუთარი ცოდნის დემონსტრირება, რაც დაეხმარება მათ სამსახურის მოძიებას ან/და შემდგომ კარიერულ წინსვლაში. პროექტი დასაქმების სექტორს საშუალებას აძლევს აღმოაჩინოს პროფესიული ცოდნის მქონე მისთვის საჭირო კადრები. საგანმანათლებლო სექტორისთვის, იქნება ეს უნივერსიტეტები თუ პროფესიული სასწავლებლები, ოლიმპიადის მათი სტუდენტის გამარჯვება რეპუტაციის საკითხია და ხაზს უსვამს კონკრეტულ სასწავლო დაწესებულებაში ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

რაც შეეხება უშუალოდ ოლიმპიადის ფორმატს, უკვე მეოთხე წელია ოლიმპიადის ტარდება აგროარული, სასურსათო ტექნოლოგიის, სატყეო საქმის, ღვინის ტექნოლოგიის, სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის, ვეტერინარიის, ასევე გარემოს დაცვის მიმართულებებში. შესაბამისად, კონკურსი მოიცავს ფაქტობრივად ყველა პრიორიტეტულ დარგსა და სპეციალობას, რომლებიც ყველაზე

მოთხოვნადია საქართველოს შესაბამისი პროფილის დასაქმების ბაზარზე.

უნდა აღინიშნოს, რომ უკვე მეოთხე წელია, ყოველ წელს, პროექტში 700-დან 1200-მდე კონკურსანტი მონაწილეობს, საიდანაც 42 აგროოლიმპიადის გამარჯვებული ხდება. უშუალოდ ოლიმპიადისთვის, ყოველწლიურად, დაახლოებით 1200 ტესტ-კითხვა გამოიყენება.

როგორც პროექტის კონცეფციის ავტორი, ორგანიზაციის „სოფლის მეურნეობის განვითარების ასოციაცია“ თავმჯდომარე ანდრო ხეთერელი აღნიშნავს, ეროვნული აგროარული ოლიმპიადის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად პროგრესირებადი პროექტია საქართველოს აგროარულ სექტორში.

**„უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის წარმატებას და განვითარებას განსაზღვრავს სამი ძირითადი პარამეტრი - მონაწილეთა რაოდენობა, სპონსორი ორგანიზაციების ანუ სპონსორი კომპანიების რაოდენობა და საპრიზო ბიუჯეტის რაოდენობა. პროექტის ანალიზის შედეგად, ორი წლის განმავლობაში, 2022 და 2023 წლებში, სახეზე გვაქვს თითქმის ყველა სპეციალობაში მონაწილეთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა. 2022 წელთან შედარებით, 2023 წელს პროექტში მონაწილეთა 92%-იანი ზრდა დაფიქსირდა. ოლიმპიადის პარტნიორი და სპონსორი კომპანიების რაოდენობის თვალსაზრისით, 2021 წელთან შედარებით, 2023 წელს 34%-ით მეტი იყო. 2023 წელს მნიშვნელოვნად იყო გაზრდილი საპრიზო თანხის რაოდენობაც. იმედს ვიტოვებთ, რომ მიმდინარე წელსაც, პროექტის მიმდინარეობის დადებითი დინამიკა ყველა მიმართულებით შენარჩუნდება. პროექტის შეფასების შედეგად, ასევე გამოიკვეთა ისეთი დარგები, სადაც მონაწილეთა ჩართულობა შედარებით ნაკლებია. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ დარგების პოპულარიზაციას, მონაწილეთა რაოდენობების გაზრდა და მათი მოტივირება წარმოადგენს პროექტის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას“, - აცხადებს ანდრო ხეთერელი.**

როგორც ეროვნული აგროარული ოლიმპიადის საორგანიზაციო გუნდი განმარტავს, 2023 წელს ჩატარებული ოლიმპიადის შედეგად მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, აგროოლიმპიადის 2024-ში შევიდა გარკვეული ცვლილებები, რაც ორიენტირებულია პროექტის ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებაზე და პროექტში მონაწილეთა რაოდენობის ზრდაზე. ცვლილების თანახმად, 2023 წლის აგროოლიმპიადის პირველ ადგილზე გასულ კონკურსანტებს, მიმდინარე წელს საშუალება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ ყველა საკონკურსო დარგში, გარდა იმ დარგისა, რომელშიც 2023 წელს გამარჯვდა. (მაგალითად, თუ კონკურსანტმა 2023 წელს პირველი ადგილი აიღო აგრონომიის დარგში, 2024 წელს ის მონაწილეობას შეძლებს ყველა სხვა დარგში, გარდა აგრონომიისა).

რაც შეეხება პროექტის გრძელვადიან მიზნებს, უნდა აღინიშნოს, რომ საკონკურსო სპეციალობებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა, იძლევა პროექტის ინტერნაციონალიზაციის საშუალებას, რაც პროექტის განვითარების მომდევნო ეტაპად განიხილება. დღეისათვის არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, თავისუფლად შესაძლებელია ანალოგიური სახის კონკურსის განხორციელება საქართველოს მეზობელ ქვეყნებშიც, რაც მთლიანობაში, თვისობრივად გააძლიერებს პროექტის იდეას და გაზრდის მის დადებით ზეგავლენას ბენეფიციარ ჯგუფებზე.





# უწყვტილი თვითმონიტორინგის სისტემაში 34 საწარმო რეგისტრირებული

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება და დაბინძურების მინიმუმამდე დაყვანა, საქართველოს გარემოსდაცვითი პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამ მიმართულებით, ბოლო წლებში არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია, საწარმოებიდან დაბინძურების პრევენციისთვის გატარებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის საფუძველზეც მსხვილ საწარმოებს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის უწყვეტი თვითმონიტორინგის სისტემების დანერგვის ვალდებულება გაუჩნდათ. ეფექტიანი გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მიზნით, მაკონტროლებელი ორგანო - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, საწარმოების ინსპექტირებას ინტენსიურად ახორციელებს. მიზანი, ერთი მხრივ, ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება, მეორე მხრივ კი - ახალი გარემოსდაცვითი სტანდარტების აღსრულების ხელშეწყობაა.



5 დედაქალაქში მდებარეობს, 4-4 იმერეთსა და შიდა ქართლში, 2 - სამეგრელოში, 1 კი - მცხეთა-მთიანეთში.

სისტემაში უმეტესად ჩართული არიან მეტალურგიული, ცემენტის, მინის ტარის, სამშენებლო მასალებისა და ქიმიური მწარმოებლები. მათ შორის არიან ისეთი მსხვილი კომპანიები, როგორებიცაა, მაგალითად: რუსთავის აბოტი, რუსთავის ფოლადი, „ჯეოსთილი“, „ქართული ცემენტი“, ჭიათურმანგანუმი, ჯორჯიან მანგანუმი და სხვა. თითოეული მათგანის უწყვეტ მონიტორინგს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის ელექტრონული სისტემის საშუალებით ახორციელებს. დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის ელექტრონული სისტემის ცენტრალურ საცავში მონაცემების უწყვეტად მიღება ხორციელდება მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროზე (მიღზე) დამონტაჟებული მოწყობილობების მეშვეობით. ნებისმიერი სამართალდარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, დეპარტამენტი შესაბამის რეაგირებას ახდენს.

პარალელურად, მიმდინარეობს სისტემაში ჯერ არ ჩართულ საწარმოთა ინსპექტირებაც.

მიმდინარე 2024 წლის განმავლობაში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტად განსაზღვრის ვალდებულების შეუსრულებლობის 9 სამართალდარღვევა გამოვლინდა. 7 საწარმოს მიმართ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 76 პრიმა 1 მუხლით შედგენილი ოქმები და საქმის მასალები შესაბამის სასამართლოებს გადაეგზავნა. აღნიშნული მუხლი 10 000 ლარიან, სამართალდარღვევის განმეორების შემთხვევაში კი - 20 ათას და 40 ათასლარიან ჯარიმას ითვალისწინებს.

სამრეწველო საწარმოებიდან ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევების უწყვეტი თვითმონიტორინგის სისტემების სრულად დანერგვის პროცესი გრძელდება. საბოლოო მიზანია, ფაქტობრივად ყველა მსხვილი საწარმო იყოს ჩართული თვითმონიტორინგის სისტემაში, რათა გაკონტროლდეს რა

რაოდენობით და რა მავნე ნივთიერებებს აფრქვევს ჰაერში თითოეული მათგანი.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისთვის და სატრანსპორტო სექტორიდან ჰაერის დაბინძურების მინიმუმამდე დაყვანისთვის, ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს 4 დიდ ქალაქში - თბილისში, რუსთავში, ქუთაისსა და ბათუმში, გზებზე მოძრავი მანქანების გამონაბოლქვის კონტროლიც. გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებათა შემადგენლობის დადგენილი ნორმების დარღვევისთვის სამართალდარღვევების მიმართ მკაცრი საჯარიმო სანქციებია ამოქმედებული. კანონის ამოქმედებიდან 1 წელში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დადგინდეს ნორმასთან შეუსაბამობისთვის 7193 იურიდიული და ფიზიკური პირი დააჯარიმეს.

პარალელურად, დეპარტამენტი ავტოგასამართ სადგურებზე საწვავის ხარისხის კონტროლს რეგულარულად ახორციელებს, რათა მინიმუმამდე შემცირდეს არაკონდიციური საწვავის მოხმარება, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ამცირებს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევას.



ატმოსფერული ჰაერის გაუმჯობესება იმ გარემოსდაცვით ვალდებულებებს შორისაცაა, რომლებიც საქართველოს ევროკავშირთან ასოცირებისა და სხვა საერთაშორისო გარემოსდაცვითი შეთანხმებებით აქვს აღებული. ამ ფონზე მოსალოდნელიც იყო, საქართველოში მოქმედი საწარმოებისთვის კანონით ისეთი ვალდებულებების დაწესება, როგორიცაა ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესება, გადაიარაღება, სათანადო ფილტრაციის სისტემის დამონტაჟება და უწყვეტი თვითმონიტორინგის სისტემაში ჩართვა.

სიახლე ბიზნესისთვის დამაზარალებელი რომ არ ყოფილიყო, თითოეული სამრეწველო საწარმოსთვის თვითმონიტორინგის სისტემის დანერგვის ინტერაქტიული გეგმა კი შემუშავდა, რომლის მონიტორინგაც უწყვეტად ხორციელდება.

ამ ეტაპზე უწყვეტი თვითმონიტორინგის ელექტრონულ სისტემაში ჩართულია 34 კომპანია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი კომპანიების დარეგისტრირება, რომლებიც საწარმოო ზონაში არსებობს, სადაც დაბინძურების გაცილებით მაღალი რისკია. 34 რეგისტრირებული კომპანიიდან 15 სწორედ ასეთ ზონაში - რუსთავში მდებარეობს. ზოგადად, ქვემო ქართლში არსებული კომპანიებიდან კი სისტემაში უკვე ჩართულია 18 საწარმო.

ქვემო ქართლის 18 საწარმოს გარდა, სისტემაში რეგისტრირებული საწარმოებიდან

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე კახა კაკაბაძე ტაჭიკეთის სახელმწიფო სატყეო სააგენტოს ხელმძღვანელს აბდუჯაბარ იუსუფოდას შეხვდა



შეხვედრას ეროვნული სატყეო სააგენტოს და ტაჯიკეთის შესაბამისი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მხარეებმა ტყის მართვის სფეროში საქართველოს გამოცდილების გაზიარებასა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივაზე ისაუბრეს; ქართველმა სპეციალისტებმა ტაჯიკელ კოლეგებს ტყის, ბიომრავალფეროვნების, დაცული ტერიტორიებისა და აგრომეტყვეობის მართვის მიმართულებით არსებული პრაქტიკა გააცნეს.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია კოლეგების დაინტერესება იმ პრაქტიკით, რაც გვაქვს ტყის მართვის, ბიომრავალფეროვნების დაცვისა და აგრომეტყვეობის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სატყეო სექტორი ყოველთვის გამოირჩეოდა რევიონში. შემდეგ დარგმა გაიარა საკმაოდ მძიმე ეტაპები. 2013 წლიდან კი დაიწყო რეფორმები, რომლებიც აძლიერებს სატყეო

სექტორს, ნერგავს ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს და შედეგად ჩვენი მოსახლეობისთვის მოიტანს ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ სარგებელს. სამინისტროს სისტემაში შემავალი თითოეული შესაბამისი უწყება ყოველწლიურად აუმჯობესებს საქმიანობას დასახული მიზნების მისაღწევად“, - აღნიშნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე კახა კაკაბაძემ.

ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის წევრებმა ბორჯომის ხეობაში 2008 და 2017 წლებში ნახანძრალი ტყის მასივი მოინახულეს, სადაც საქართველოში ტყის აღდგენასთან დაკავშირებულ მიდგომებსა და პრაქტიკას ადგილზე გაეცნენ.

აღსანიშნავია, რომ ბორჯომის ხეობაში ნახანძრალ ტყეში აღდგენითი სამუშაოები 636 ჰა ფართობზე განხორციელდა და ჯამში 346 ათასამდე ნერგი დაიარგო. ტყის მდგრადი ეკოსისტემის ჩამოყალიბების მიზნით, განხორციელდა ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ღონისძიებებიც. დელეგაციის წევრები ბორჯომის პლატოს ტერიტორიაზე მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებებსაც გაეცნენ; ასევე, მოინახულეს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრი.

ტაჯიკეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სატყეო სააგენტოს დელეგაციის წევრები სოფლის მეურნეობის კვლევითი ცენტრის, ჯიდაურას საცდელ-სადემონსტრაციო ბაზას ეწვევნენ, სადაც სერტიფიცირების კვლევის სამსახურის ლაბორატორია დაათვალიერეს.



სამცხე-ჯავახეთში, სოფელ კახოვანში, 5 კილომეტრამდე მონაკვეთზე სატყეო ვეჯის აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს



სოფელ ცანაში დარიშხანშემცველი ნარჩენების სარკოფაგის მოწყობის პირველი ეტაპის სამუშაოები დასრულების ეტაპზეა



„ეროვნული სატყეო სააგენტო სატყეო-სამეურნეო გზების რეაბილიტაციას მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს. სოფელ კახოვანში, სატყეო გზების მოწყობა სლოვენური პრაქტიკისა და ევროსტანდარტების გათვალისწინებით ხორციელდება. სატყეო გზების მოწყობა არა მარტო საშუალებას მერქანზე ხელმისაწვდომობას ამარტივებს, არამედ, ეფექტიანად

ხორციელდება ტყის მოვლა-აღდგენის და, საჭიროების შემთხვევაში, ხანძრებთან ბრძოლის ღონისძიებები“, - აღნიშნა ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა კახა ცერცვაძემ.

პროექტი „ტყის მდგრადი მართვა ადიგენის მუნიციპალიტეტში“ სლოვენის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, მსოფლიო ბუნების ფონდის (WWF) კავკასიის პროგრამის და ზავიტა კონსალტინგის კონსორციუმის მიერ ხორციელდება.



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები სოლომონ პავლიაშვილი და კახა კაკაბაძე ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ცანაში დარიშხანშემცველი ნარჩენების სარკოფაგის მოწყობის პროექტის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ.

„ლენტეხის მუნიციპალიტეტში, დარიშხანშემცველი ნარჩენების განთავსების ადგილებზე, რთული ეკოლოგიური ვითარება გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან არსებობს. მას შემდეგ, აღნიშნულ ტერიტორიაზე სამთო-ქიმიური ქარხნები დაიხურა და დარიშხანშემცველი ნარჩენები ღია ცის ქვეშ, ყოველგვარი კონტროლის გარეშე დარჩა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ინიციატივით, საქართველოს მთავრობასთან კოორდინაციით და საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობით, დარიშხანშემცველი ნარჩენების სარკოფაგის მოწყობის მიზნით ჩატარდა კვლევები და მომზადდა ანგარიშები; გაიმართა არაერთი საჯარო განხილვა, შესაბამისი სამინისტროების წარმომადგენლების, მეცნიერების, არასამთავრობო სექტორის და მოსახლეობის მონაწილეობით. შედეგად, მომზადდა პროექტი და დავიწყეთ რეალური ნაბიჯების გადადგმა აღნიშნული პრობლემის მოგვარებისთვის“, - აღნიშნა სოლომონ პავლიაშვილმა.

პროექტის პირველი ეტაპის სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობს. უკვე დასრულებულია რკინა-ბეტონის არხისა და სალექარის სამშენებლო სამუშაოები. აქტიურად მიმდინარეობს მდინარე ყორულდაშზე ნაპირსამაგრი დამცავი კედლის მშენებლობაც. პირველი ეტაპის დასრულების შემდგომ, მომავალი წლის გაზაფხულზე, მეორე ეტაპის სამუშაოები დაიწყება.



# ადოსავლეთ საქართველოში გავრცელებული სარეველა მცენარეები

სარეველები ველურად მოზარდი მცენარეებია, ისინი მთელ მსოფლიოშია გავრცელებული, მათი რამდენიმე ათასი სახეობა არსებობს, საქართველოშიც მრავალი სარეველა მცენარე გვხვდება. სარეველა მცენარეები კარგად ეგუებიან ადგილობრივ პირობებს, ნიადაგსა და კლიმატს. ადოსავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელია ზომიერი კლიმატი, კონტინენტური მშრალი ჰავა, ყველაზე ნალექიანი პერიოდი გაზაფხული და შემოდგომა, სწორედ ეს განაპირობებს ამ რეგიონისთვის დამახასიათებელი სარეველა მცენარეების გავრცელებას. ქვემოთ მოცემულია ადოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ზოგიერთი სარეველა მცენარის მოკლე დახასიათება.

### ყაყარი - Papaver hybridum L.



ერთწლიანი, ბალახოვანი, სარეველა მცენარეა ყაყაროსებრთა ოჯახიდან; ღერო - სწორი, დატოტვილი, სუსტი, ჯაგრისებრად შებუსული; ღეროსეული ფოთლები ვიწრო ხაზურად არის დანაკვეთილი; ყვავილი - ვარდისფერი ან წითელი, ყუნწი და კოკრები ჯაგრებითაა დაფარული, გვირგვინის ძირი მცირე შავი ლაქით არის წარმოდგენილი, ყვავილობს აპრილ-ივნისში; ნაყოფი - კოლოფი ოვალური, 4-8 ღარიანი, შებუსული, ჩალისფერ-ნაცრისფერი, სიგრძე - 20-30მმ, დიამეტრი - 15-20 მმ; თესლი - თირკმლისებრი, ჩაღრმავებით, მბზინავი, მოყვითალო-ყავისფერი, მუქი ყავისფერი, მოშავო, სიგრძე - 0.5-0.75 მმ, სიგანე - 0.5 მმ; ასარეველიანებს მარცვლოვნებს.

### პატარძალა - Anchusa italica Retz.



ორ ან მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა ლაშქარასებრთა ოჯახიდან; მთელი მცენარე უხეში ჯაგრითაა შებუსული; ღერო დატოტვილი, 20-100 სმ სიმაღლის; ფოთლები ოვალური ან მოგრძო-ლანცეტაა, ქვედა ფოთლები - ყუნწიანი, ზედა - მჯდომარე; ყვავილი მეწამული-მოლურჯო ფერისაა, შეკრული მტევან ყვავილედად, ყვავილობს მაის-აგვისტოში; კაკულუჭა - მოლუნული კვერცხისებრი, ნაოჭიანი ზედაპირით, მწიფდება ივნისიდან.

### ყაყარა - Glaucium corniculatum (L.) J. Rudolph.



ერთწლიანი, ბალახოვანი, შხამიანი მცენარეა ყაყაროსებრთა ოჯახიდან; ღერო - წახნაგისანი,

ღარებიანი, 10-40 სმ სიმაღლის, გაფარჩხულ-დატოტვილი, ჯაგრებით დაფარული; ფოთლები - ღრმად ფრთისებრ განკვეთილი არათანაბარ ხერხებილია სეგმენტებად, ფესვთანური ფოთლები ყუნწიანი, ღეროსეული - მჯდომარე; ყვავილი - წითელი, ძირში მოშავო-იისფერი ლაქით; ნაყოფი - კოლოფი, მოგრძო, ოდნავ მოლუნული, ორბუდიანი; თესლი - ოვალური, ოდნავ შეჭყლეთილი, ბურგიდან ამობურცული, ქვედა მხრიდან - შეწეული, თესლის ნაკერი (ნაწიბური) - მოგრძო ხაზოვანი, ზედაპირი მსხვილი ბადისებრი, სუსტად მბზინავი, მუქი ყავისფერი, შავი, სიგრძე-1-1.5 მმ, სიგანე-0.75-1 მმ. ასარეველიანებს მარცვლოვან და სათოხნ კულტურებს.

### მახოხალი - Cephalaria syriaca (L.) Schard.



ერთწლიანი, ბალახოვანი სარეველა მცენარეა გოჭოსებრთა ოჯახიდან; ღერო - სწორი, დატოტვილი, სიმაღლე - 70 -100 სმ; ფოთოლი - მოგრძო ლანცეტისებრი, მთლიანი, მოპირდაპირედ განლაგებული, ზედა ფოთლები ხაზურა და კიდემთლიანი; ყვავილები - ცისფერი, თავაკებად შეკრებილი, ყვავილობს შუა ზაფხულში; თესლურა უკუკვერცხისებრი, ოთხწახნაგისანი, ყავისფერი, იშვიათად მოშავო, სიგრძე-7-10 მმ, სიგანე-2.5-3.5 მმ; ერთ მცენარეზე ვითარდება 200-300 თესლი, რომლებიც დიდხანს ინარჩუნებენ ადმოცენების უნარს; ასარეველიანებს მარცვლოვნებს. მახობელის თესლის მინარევი ხორბლის თესლს აძლევს ლურჯ ფერსა და მწარე გემოს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხორბლის ფქვილში მისი 1-2%-ის შერევა პურს სურნელოვანს და რბილს ხდის.

### სელიჭა - Linaria Mill.



მრავალწლიანი, ბალახოვანი, შხამიანი მცენარეა მრავალძარღვასებრთა ოჯახიდან; ფესურა - წვრილი, გრძელი; ღერო - სწორმდგომი, მარტივი ან დატოტვილი, შეფოთილი, 30-90 სმ სიმაღლის; ფოთლები - ლანცეტისებრი ან ხაზურა - ლანცეტისებრი, ბოლო - წაწვეტებული, შეუბუსავი, მჯდომარე;

ყვავილები - შეკრული მტევანად, ყვითელი, 5-15 სმ სიგრძის, ყვავილობს ზაფხულის განმავლობაში; ნაყოფი - მოგრძო ელიფსური კოლოფი, სიგრძე-9-11 მმ, სიგანე- 6-7 მმ, მწიფდება შემოდგომაზე; თესლები - მომრგვალო, შუაში ბრტყელი, ამობურცული, წვრილი, მუქი ყავისფერი-მოშავო, დიამეტრი - 1.75-2.25 მმ, ერთ მცენარეზე ვითარდება 8000-30000 თესლი, რომელიც ქართლ ადვილად ვრცელდება.

### ღვიძისპირა - Antirrhinum majus L.



მრავალწლიანი, ბალახოვანი მცენარეა მრავალძარღვასებრთა ოჯახიდან; ღერო - სწორი, დატოტვილი, 15-100 სმ სიმაღლის; ფოთლები - ქვედა - მოპირდაპირედ განლაგებული, ზედა - მორიგეობით განლაგებული, ლანცეტისებურ-ოვალური; ყვავილი - არასწორი ფორმის, ორტუჩა, ყვითელი, თეთრი, ვარდისფერი, სტაფილოსფერი და სხვ. ყვავილობს ივნისიდან ყინვების დაწყებამდე; ნაყოფი - ორბუდიანი, მრავალთესლიანი კოლოფი, 1 გრ-ში 5000-8000 თესლია.

### ქვაკურა - Bupleurum rotundifolium L.



ერთწლიანი ბალახოვანი, შხამიანი სარეველა მცენარეა ქოლგოსანთა ოჯახიდან, იზრდება ერთეული ან მრავალი; ღერო - ზედა ნაწილში დატოტვილი, სიმაღლით 70 სმ-მდე; ფოთლები - წვრილი, ლანცეტა, ქვედა - ძირშევიწროვებული, ზედა - მჯდომარე ფოთლები; ყვავილედები - ქოლგა, მრავალრიცხოვანი, წვრილი, რამდენიმე რკალისებრად მოლუნული სხივებით, ყვავილი - ყვითელი, დიდი არათანაბარი ზომის მწვანე საბურველის ფოთოლაკები, ჯამის კბილები შეუმჩნეველია; ნაყოფი შედგება ორი წაგრძელებული ან კვერცხისებრი, ოდნავ შეჭყლეთილი 2-3 მმ სიგრძის თესლურასგან, რომლებიც მომწიფებისას ერთმანეთს სცილდებიან. ასარეველიანებს თავთავიან კულტურებს,

საშემოდგომო ხორბლის ნათესებს; მცენარის მიწისზედა ორგანოები შეიცავს ალკალოიდებს, სააონინებს, კუმარინს, მთრთრთილაკ ნივთიერებებს, ფლავონოიდებს, გამოიყენება სამკურნალოდ.

### ღეზურა - Consolida regalis S. F. Gray



ერთწლიანი, ბალახოვანი, შხამიანი სარეველა მცენარეა ბაიასებრთა ოჯახიდან, ღეროს სიმაღლე - 30-60 სმ-მდე; ფოთლები მორიგეობით განლაგებული; ყვავილი - ლურჯი ან იასამნისფერი, ზოგჯერ ვარდისფერი ან თეთრი, ყვავილობს ივლისიდან აგვისტომდე; თესლი - სამწახნაგოვანი, კვერცხისებრი, ოდნავ მოლუნული, სიგრძე - 2.5 მმ, სიგანე - 1.5-2 მმ, თესლს ივითარებს ივლისიდან ოქტომბრამდე; ასარეველიანებს ხორბალს.

### ბაყაყურა - Silybum marianum L.



ორწლიანი, ეკლიანი, ბალახოვანი სარეველაა რთულყვავილოვანთა ოჯახიდან; ღერო - მარტივი ან დატოტვილი, შეუბუსავი, 1-1.5 მ სიმაღლის; ფოთლები - მორიგეობით განლაგებული, ელიფსური, ფრთისებრდნაკვეთილი, ეკლიანი, ფირფიტა მწვანე ფერის თეთრი ლაქებით, მბზინავი; ყვავილი - იასამნისფერი, ვარდისფერი ან თეთრი, შეკრებილი კალათა ყვავილედად, ყვავილობს ივლის-აგვისტოში; თესლურა უკუკვერცხისებრი, ოდნავ შეჭყლეთილი, თეთრიდან ყავისფრამდე შეფერვის, თეთრ ან ღია ყვითელ თესლებს აქვთ ყავისფერი ზოლები, სიგრძე-5-7 მმ, სიგანე - 3.25 მმ.

### გულსოსანა - Verbasum blattaria L.



ორწლიანი, ბალახოვანი მცენარეა შავწამალასებრთა ოჯახიდან; ფესვი - მთავარღერძა; ღერო - სწორმდგომი, მარტივი, სუსტად დატოტვილი, ქვემოთ შეფოთილი, 30-120 სმ სიმაღლის; ფოთლები - მჯდომარე ან მოკლე ყუნწით, მოგრძო ლანცეტისებრი; ყვავილედები - მარტივი, გრძელი მტევანი, ყვავილი - ყვითელი, შუაში იასამნისფერი, ყვავილობს ივლის-აგვისტოში; ნაყოფი - ორბუდიანი, სფეროსებრი კოლოფი, თესლი - პირამიდისებრი, ზიგზაგისებურ-ტალღოვანი ზედაპირით, მუქი ყავისფერი, სიგრძე-0.75-1 მმ,

სიგანე - 0.5 მმ, ერთ მცენარეზე ვითარდება 20000-40000 თესლი; ასარევლიანებს მარცვლოვნებს.

**ყვითელი ტუსტი** - *Althaea rugosa* Alef.



მრავალწლიანი მცენარეა 50-200 სმ-მდე ბალახებრთა ოჯახიდან; ღერო - სწორი, ცილიდრული, შებუსული; ფოთლები - 5-7 ფრთისებრდანაკვეთილი, ყუნწიანი, მორიგეობით განლაგებული; ყვავილები - ყვითელი, ყვავილობს ივნისიდან სექტემბრის ბოლომდე; თესლი - თირკმლისებური, მონაცრისფრო-ყავისფერი, გლუვი, სიგრძე-2.5-2.75 მმ, სიგანე - 2 მმ, თესლმსხმოიარობა ივლისიდან, ერთ მცენარეზე ვითარდება 400-1000 თესლი.

**ქოთანა** - *Silene* L.



მრავალწლიანი, ბალახოვანი მცენარეა მიხაკისებრთა ოჯახიდან; ფესვი - მთავარღერძა, ძლიერი, დატოტვილი; ღერო - სწორი, შეუბუსავი, 40-100 სმ სიმაღლის; ფოთლები - ლანცეტისებური ან კვერცხისებურ-ლანცეტისებური; ყვავილი - თეთრი, ყვავილობს ივნის-სექტემბერში; ნაყოფი - სფერული კოლოფი, თესლი - მოუწიფებელი მოწითალო-ყავისფერი, მომწიფებელი - მუქი ნაცრისფერიდან შავამდე, ბორცვიანი ზედაპირით, ბორცვები რიგებად ჩალაგებული, ოვალურ-თირკმლისებური, სიგრძე-1-1.8 მმ, სიგანე - 1-1.3 მმ, მწიფდება ივნისიდან.

**ჭიტიანა** - *Echallium elaterium* (L.) A. Rich.




მრავალწლიანი, შხამიანი მცენარეა გოგრისებრთა ოჯახიდან; ფესვი - მთავარღერძა, სქელი, სუსტად დატოტვილი, მოთეთრო, ხორციანი; ღერო - მხოხავი, ულვაშების გარეშე, 50-150 სმ სიგრძის; ფოთოლი - მორიგეობით განლაგებული, გულისებურ-კვერცხისებრი, დაკბილული, გრძელყუნწიანი; ყვავილი - ღია ყვითელი, ყვავილობს ივლის-სექტემბერში; ნაყოფი - მონაცრისფრო-მწვანე ან მწვანე, წვნიანი, მოგრძო ან მოგრძო-კვერცხისებური, სიგრძე-4-6 სმ, სიგანე 1.5-2.5 სმ, ზედაპირი დაფარულია ეკლებით; თესლი - მუქი ყავისფერი, მოგრძო, პატარა, გლუვი, სიგრძე-4 მმ, მწიფდება აგვისტო-სექტემბერში.

**ჭაბუკი** - *Lithospermum arvense* L.



მრავალწლიანი, ბალახოვანი მცენარეა ლაშქარასებრთა ოჯახიდან. ფესვი - ძლიერი, სქელი, მუქი წითელი; ღერო - სწორმდგომი, სქელი, დატოტვილი, სიმაღლით 50-80 სმ; ფოთლები - ლანცეტისებური, მორიგეობით განლაგებული, ზემოთ - მუქი მწვანე, ქვემოთ - უფრო ღია ფერის; ყვავილი - პატარა, მოყვითალო-თეთრი, ყვავილობს ივნის-ივლისში; ნაყოფი - კაკულუჭა, კვერცხისებური, სამწახნაგოვანი, მბზინავი, მონაცრისფრო, ბორცვიანი ზედაპირით, სიგრძე-2-3.5 მმ, სიგანე - 1.75-2.25 მმ. ასარევლიანებს ხორბალს.

**ფაროსანას სანიტარული ღონისძიებები 635 ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა**



**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე კახა კაკაბაძემ აბაშის მუნიციპალიტეტში, აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ ანგარიში მოისმინა.**

მიმდინარე წლის ანგარიში და დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაცია მართვის ცენტრის ხელმძღვანელმა ლაშა შალამბერიძემ წარადგინა. შეხვედრას სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე ზურაბ ლიპარტია და სააგენტოს სპეციალისტები ესწრებოდნენ.

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის პროცესი სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად წარიმართა. პირველ ეტაპზე განხორციელდა მონიტორინგი, რომლის შედეგების გათვალისწინებითაც მომდევნო ეტაპზე წამლობა განხორციელდა.

სურსათის ეროვნული სააგენტოს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მართვის ცენტრმა, მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებები 635 ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელა. სპეციალიზებული ტექნიკით, ცივი შესურების

მეთოდით თერმული ნისლის ტექნოლოგიით დამუშავდა 354 ათას ჰექტარამდე ფართობი, მათ შორის სიმინდის მასივები, სოფლების და ტყის პერიმეტრები და სოფლების და დასახლებული პუნქტების ტერიტორიები.

მონიტორინგის მიზნით, განთავსდა 7 ათასზე მეტი ფერომონიანი დამჭერი და ასევე 154 ათასამდე „მოიზიდვე და გაანადგურე“ სადგური.

**სტუმრებმა მართვის ცენტრში არსებული ტექნიკა დაათვალიერეს, სამეგრელოსა და გურიის რეგიონებში ჯგუფების მუშაობის პროცესსა და თერმული ნისლით წამლობის პროცესს ადგილზე გაეცნენ. მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებებში აქტიურად არის ჩართული ადგილობრივი ხელისუფლება. ფუტკრის დაცვის მიზნით, წამლობა მეფუტკრეებთან კოორდინირებულად, უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით, ღამის საათებში მიმდინარეობდა.**

ამინდის გაუარესებასთან ერთად აზიური ფაროსანა გამოსაზამთრებლად ემზადება, რა დროსაც საცხოვრებელი სახლებისა და მიტოვებული შენობებისკენ ინაცვლებს. სურსათის ეროვნული სააგენტო მოუწოდებს მოსახლეობას, აქტიურად ჩაერთოს მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებებში და სახლის პირობებში მექანიკური მეთოდები გამოიყენოს.

**ცოფთან ბრძოლის მსოფლიო დღე საქართველოში უფასო ვაქცინაციის კამპანიით აღინიშნა**



**28 სექტემბერს, ცოფთან ბრძოლის მსოფლიო დღის აღსანიშნავად, სურსათის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, მთელი საქართველოს მასშტაბით შინაური ცხოველების - ძაღლებისა და კატების უფასო ვაქცინაცია გაიმართა.**

სააგენტოს ვეტერინარებმა პატრონიანი და მიკედლებული შინაური ცხოველები სპეციალურად გამოყოფილ სივრცეებსა და სააგენტოს რეგიონული სამსახურების ოფისებში აცრეს.

მიმდინარე წელს სააგენტოს მიერ უკვე ვაქცინირებულია 200 000-ზე მეტი ცოფის ამთვისებელი ცხოველი; წლის ბოლომდე 300 000 მანიპულაციის ჩატარება იგეგმება. სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გატარებული კომპლექსური ღონისძიებების შედეგად, ცოფის გამოვლენის შემთხვევები ყოველწლიურად მცირდება. მიმდინარე წელს, ცხოველებში ცოფის 22 შემთხვევაა დადასტურებული. 2015 წელთან შედარებით, ცოფის შემთხვევები 80%-მდე შემცირებული.

ცოფთან ბრძოლის მსოფლიო დღე, ცოფის კონტროლის გლობალური ალიანსის ინიციატივითა და ჯანდაცვის მსოფლიო

ორგანიზაციის მხარდაჭერით, 2007 წელს დაარსდა. საქართველოში ეს დღე 2013 წლიდან ყოველწლიურად აღინიშნება. წლებიდან ღონისძიების მთავარი გზავნილია „გადავლახოთ ბარიერები ცოფთან ბრძოლაში!“, რაც დაავადებასთან ბრძოლის პროცესში არსებულ წინააღმდეგობას გამკლავებასა და ყველა რგოლის ჩართულობითა და კოორდინირებული მუშაობით საერთო მიზნის მიღწევას - 2030 წლისთვის ძაღლებისგან მომდინარე ცოფის ელიმინაციას გულისხმობს.

ცოფი საშიში ზოონოზური დაავადებაა, რომლითაც ავადდება როგორც შინაური და გარეული თბილსისხლიანი ცხოველი, ასევე ადამიანი. ინფექცია ვრცელდება დაავადებულ ცხოველთან კონტაქტით (დაკბენა, დაკაწვრა, დადობვლა). კლინიკური ნიშნების გამოვლენის შემდეგ დაავადება 100%-იანი ლეტალობით სრულდება.

ცოფის პრევენცია შესაძლებელია მხოლოდ ვაქცინაციით. ამიტომ სურსათის ეროვნული სააგენტო მოუწოდებს ცხოველთა მეპატრონეებს, დროულად ჩაუტარონ ვაქცინაცია თავიანთ შინაურ ცხოველებს, რითიც დაცვავენ როგორც მათი ოთხფეხა მეგობრების, ასევე ადამიანების სიცოცხლეს.





# საქართველოს ბიომრავალფეროვნება

ტარიტორიული სივცირის მიუხედავად, საქართველოს ბიომრავალფეროვნება საკმაოდ მდიდარია. ჩვენი ქვეყნის ტარიტორიაზე ფართოდაა წარმოდგენილი როგორც ენდემური, ისე სხვადასხვა ქვეყნისათვის დამახასიათებელი სახეობები



**მურა დათვი**

**მურა დათვი** (*Ursus arctos*) საქართველოში გავრცელებულ მტაცებელ ცხოველებს შორის ყველაზე დიდი სახეობაა. ზოგიერთი ზრდასრული ინდივიდის სხეულის სიგრძემ შეიძლება 3 მეტრს, ხოლო წონამ 700 კილოგრამსაც კი მიაღწიოს. მამრი ინდივიდები მდედრებზე დიდი ტანის არიან და მათი სხეულის ზომა საკვების ბაზაზე, გავრცელების არეალსა და სხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული. ყველასთვის ცნობილი „გრიბლიც“ მურა დათვია, თუმცა მათი გაცილებით დიდი ზომები სწორედ მკაცრი კლიმატის, აგრეთვე პროტეინითა და ცხიმით მდიდარი საკვების დამსახურებაა.

მურა დათვები გვხვებიან თითქმის მთელი კავკასიონის ქედზე, მცირე კავკასიონის ზოგიერთ ნაწილში და საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთში, აზერბაიჯანის საზღვართან. მათი პოპულაციები დაფიქსირებულია ვაშლოვანის, ლაგოდების, ბაწარის, კინტრისის, ბორჯომის ნაკრძალებში, თუშეთში, მდინარეების: არხოტის, დურუჯის და ლიახვის ხეობებში, თრიალეთის ქედზე, ბორჯომის ხეობაში, გურია-აჭარის ქედზე და დუშეთის რაიონში.

მათ ფართო გავრცელებას ისიც განაპირობებს, რომ დათვებს მრავალნაირ ეკოსისტემაში შეუძლიათ არსებობა. ისინი თითქმის ყველა ვერტიკალურ სარტყელში გვხვდებიან და დაფიქსირებულიები არიან ზღვის დონიდან 4000 მეტრ სიმაღლეზეც კი.

დათვი, ადამიანივით ომნივორია (ნაირმჭამელი). ისინი იკვებებიან, როგორც მცენარეული ისე ცხოველური საკვებით. უპირატესობას ანიჭებენ ცხიმით მდიდარ საკვებს, როგორცაა: ტყის წაბლი ან თხილი.

დათვები სოლიტარული ცხოველები არიან, ისინი მარტო ცხოვრობენ და მხოლოდ გამრავლების პერიოდში - ივნისში ხვდებიან საპირისპირო სქესის ცხოველებს, შესაჯვარებლად. დედა დათვი ბელს ან ბელეს თებერვალში აჩენს, ხშირად ჰიბერნაციის (ზამთრის ძილი) პერიოდში. ბელეები დაახლოებით 200 გრამს იწონიან და უსუსურები არიან. ისინი მხოლოდ თვენახევრის მერე გამოდიან დედა ბელეებთან ერთად ბუნაგიდან, რა დროსაც დედა დათვი საკმაოდ სახიფათოა, რადგან ნაშიერებს პოტენციური საფრთხეებისგან იცავს.

საინტერესო ფაქტი: ყველასთვის ცნობილი ფაქტია, რომ დათვი ზამთარში ძილს ეძლევა, ამ მოვლენას ჰიბერნაცია ეწოდება. თუმცა, დათვები ამ ქცევას ყოველ წელს არ ავლენენ, რაც ბევრ გარემოფაქტორზეა დამოკიდებული. იმ შემთხვევაში თუ ზამთარი შედარებით რბილია და საკვები ხელმისაწვდომი, შესაძლებელია დათვი ძილს არ მიეცეს. მნიშვნელოვანია დაძინებამდე პერიოდი, რადგან ცხოველმა ზამთრისთვის საკმარისი რაოდენობის ცხიმი უნდა დაიმარაგოს, რასაც ორგანიზმი ძილის დროს, დაახლოებით თვენახევრის განმავლობაში, გამოიყენებს.



**გარეჯის სალბი**

**გარეჯის სალბი** ბუჩქია. 20-40 სმ სიმაღლისაა, ძირიდანვე დატოტვილი. ღეროს ქვედა ნაწილი მოფენილია სქელი, ზედა, შედარებით თხელი ბეწვებით. ყვავილობს და ნაყოფი მწიფდება

მაის-ივნისში. სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ენდემია. საქართველოში გავრცელებულია გარეჯის ველზე. მისი პოპულაციები დაცულია ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალში.



**ქურციკი-ჯეირანი**

**ქურციკი-ჯეირანი** (*Gazella subgutturosa*) მცირე ზომის წყვილჩლიქოსანი ცხოველია, დამახასიათებელი თეთრი მუცლითა და ჩალისფერი ზურგით. მათი წონა 18-იდან 33 კილოგრამამდე მერყეობს. მათ 80 კმ/სთ-მდე სიჩქარის განვითარება შეუძლიათ. მამრს ადვილად განასხვავებთ მდედრისგან რქების ზომით, რომელიც მდედრს ან საერთოდ არ აქვს ან ძალიან პატარა, სულ რამდენიმე სანტიმეტრის რქები აქვს.

ჯეირანის გავრცელების არეალი მოიცავს მცირე აზიის, ამიერკავკასიის, შუა აზიის, ყაზახეთისა და ცენტრალური აზიის უდაბნოებსა და ნახევარუდაბნოებს, ამის მიუხედავად, აღნიშნული სახეობა მსოფლიოს მრავალ ადგილას გადაშენების საფრთხის წინაშეა. საქართველოში მისი ისტორიული გავრცელების არეალი მოიცავდა თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სტეპებსა და ნახევარუდაბნოებს, სადაც ჰაბიტატი წარმოდგენილი იყო ღია ველების, უდაბნოებისა და ავშნიანი ნახევარუდაბნოების სახით. მეოცე საუკუნის 80-იან წლებამდე საქართველოში ქურციკი შირაქის ველის აღმოსავლეთით, თბილისის შემოგარენში,

გარდაბანსა და სამგორის ველებზე ფართო გუნდებად გვხვდებოდა, თუმცა მათი ჰაბიტატების სამეურნეო ათვისებამ, ბრაკონიერობამ და ურბანიზაციამ საქართველოდან სახეობის სრულად გაქრობა გამოიწვია.

2013 წლიდან ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის წარმომადგენლობის ინიციატივით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს ჩართულობით, ასევე, აზერბაიჯანის ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან თანამშრომლობითა და გერმანიის მთავრობის ხელშეწყობით, ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე, სამუხის ველზე მოხდა ქურციკების რეინტროდუქცია. დღეისათვის ქურციკების რაოდენობამ სამუხის ველზე ორასს გადააჭარბა, რაც იმედს იძლევა, რომ გადაშენებული სახეობა ისტორიულ ჰაბიტატს დაუბრუნდება.



**ხარისძირა**

**ხარისძირას** საქართველოში ორი სახეობა გვხვდება: კავკასიური და აფხაზური. ძირითადი განსხვავება მათი ყვავილების შეფერილობაშია. აფხაზური ხარისძირა საქართველოს ენდემია, კავკასიური კი კავკასიის ეკორეგიონის. ორივე მათგანი მრავალწლიანი ბალახოვანი და დეკორატიული მცენარეა. აფხაზური ხარისძირას ყვავილი ალისფერი, ვარდისფერი ან მოწითალო შეფერილობისაა. გავრცელებულია აფხაზეთში, სამეგრელოსა

და იმერეთში. ბზის მსგავსად, იზრდება ტყეებსა და შედარებით მიუდგომელ ადგილებში. კავკასიური ხარისძირა მოყვითალო შეფერილობისაა და ფერდობებზე გვხვდება, გავრცელებულია მთელი საქართველოს მასშტაბით. ხარისძირა მასობრივად ცნობილია, ძირითადად, მისი სამკურნალო თვისებებიდან გამომდინარე - გამოიყენება სხვადასხვა პრეპარატის დასამზადებლად.



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური გამოცემა